პიონერი

24

1929



საკავშირო კომპარტიის (ბ) ბელადი ამხ. სტალინი

სახელგამი

„ქრისტეს შობა“ ხუცების მიერ გამოგონილი ზღაპარია

ძველი მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ხალხს გონების თვალი არ გაეხილა. ნიკოლოზის მთავრობა, მისი სამღვდელოება და მისი კანონები სასტიკად იცავდენ ქრისტეს შობას და აღდგომას. რატომ? იმიტომ, რომ არ უნდოდათ მშრომელ ხალხს სიმართლე გაეგო. ბურჟუაზიულ კლასს თავისი ბატონობის შესანარჩუნებლად ორი ძალა ესაჭიროება: ჯალათი და მღვდელი. ჯალათი აწამებს, ჰკლავს. მღვდელი ამშვიდებს შეურაცხყოფილ და გაუბედურებულ ხალხს და ეუბნება: „რამდენად უფრო იწვალებ ამ ქვეყნად, რამდენადაც უფრო მეტს მოითმენ ჩაგვრას, იმდენად მეტად დაგაჯილდოებენ საიქიოში“.

ყველა ძველ ხალხს—ასურელებს, ირანელებს, ინდოელებს, ეგვიპტელებს და ებრაელებს, რომლებიც მიწათმოქმედებას და მეჯოგეობას მისდევდენ, სწამდა ღვთის დაბადება, შემდეგ მისი სიკვდილი და აღდგომა. ქრისტიანებს ჰგონიათ, რომ მხოლოდ მათი ღმერთი იშვა. ეს არ არის მართალი. შობის დღესასწაული ველურობის დროს წარმოშობილია და ამ დღესასწაულს არც აქვს რაიმე კავშირი ქრისტეს პიროვნებასთან.

ძველად შობა ყველა წარმართს სწამდა და მათგან გადმოიღეს ქრისტიანებმა. მზის ღმერთი ძველი სპარსელების, ეგვიპტელების, ბერძნების იბადებოდა ქალწულისაგან 25 დეკემბერს, გამოქვაბულში, ბევრად უფრო ადრე ქრისტეს წინ.

ახალი რელიგიის დამაარსებელი ბუდა, რომელიც ცოცხლობდა 500—600 წლის წინ ქრისტეს დაბადებამდე, გადმოცემის მიხედვით დაიბადა დედოფალ მაიასაგან უმამოდ. ვარსკვლავმა მიიყვანა მეფეები საჩუქრით მასთან თაყვანსაცემლად. მეფემ ბრძანება გასცა ორი წლის ბავშვების გაჟლეტის შესახებ, მაგრამ ბოლოს მოინანია შეცდომა და თვითონ მივიდა თაყვანსაცემლად ბუდასთან. ბუდა და მაია დევნილნი არიან და იმალებიან ისე, როგორც ქრისტე იმალება თავისი დედით და იოსებით ეგვიპტეში. გადმოცემა ქრისტეზე ძლიერ ემსგავსება ბუდას ცხოვრებას. ჩანს, ქრისტიანებს გადმოუღიათ.

ღვთის შობისა და აღდგომის დღესასწაულების წარმოშობას მეცნიერები ასე ხსნიან:

ადამიანი უძველესი დროიდან გრძნობს მზის გავლენას ბუნებაზე და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მზის ბედ-იღბალი მისთვის ძლიერ საინტერესო ხდება. რადგან ადამიანის ცხოვრება უსინათლოდ, უსითბოდ წარმოუდგენელია, ამიტომ მზე გახდა თაყვანსაცემ საგნად ჩვენი წინაპრებისათვის. ჩვენ ვიცით, რომ დღე 21 სექტემბრიდან ახალი სტილით თანდათან კლებულობს და ღამე მატულობს. მზე თუმცა ანათებს, მაგრამ ცოტათი ათბობს. ასე გრძელდება 21 დეკემბრამდე, როდესაც ხდება მზის მოქცევა, დღე ისევ ზრდას იწყებს, ღამე კი მცირდება. ამ მოვლენას დიდი გავლენა აქვს მთელი ბუნების და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

ადამიანმა ეს ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენა დააკავშირა მზე—ღმერთთან, თითქო მზე—ღმერთი ისევ იშვა. ზამთრის მზის მოქცევას ადამიანი უძველესი დროიდან დიდის სიხარულით ეგებებოდა. აქედან წარმოიშვა ზამთრის დღესასწაული, ანუ ღმერთის შობა, რომელიც ყველა ხალხს ერთსა და იმავე დროს აქვს.

თქმულება, თითქოს ქრისტე სულიწმინდის ძალით ჩაესახა მარიამს, ზღაპარია, სისულელეა. ეს ზღაპარი ძველ დროს შეთხზეს სულიერმა მამებმა მშრომელი ხალხის თვალის ასახვევად და დასამორჩილებლად. აბა რა დასაჯერებელია ასეთი ამბავი, რომ ზეციდან ღმერთი ჩამოვიდა და ქალს ჩაუძვრა მუცელში, რომ ბავშად გაჩენილიყო.

ქრისტეს შესახებ სწერდენ ისეთი პირები, რომელთაც ქრისტეზე არაფერი იცოდენ და მხოლოდ სხვადასხვა ბუნდოვანი ხმები ჰქონდათ გაგონილი. ისინი კრებდენ ასეთ ხმებს, ხშირად ამ ხმებს უკავშირებდენ სხვადასხვა ამბავს, რომლებიც ქრისტიანობაზე უფრო ადრე შეეხებოდენ რომაულ, ბერძნულ და აღმოსავლურ ღმერთებს და გმირებს.

ამგვარად გაჩნდა ათასნაირი ამბავი და თქმულება ქრისტეზე. ყველა გადმოცემა მის შესახებ გამოგონილი ამბავია. მეცნიერებამ საბოლოოდ გამოარკვია, რომ ქრისტე, როგორც პიროვნება, არასოდეს არ არსებობდა. ქრისტეს გაჩენა მეცნიერებამ უარყო და თუ ამ ზღაპარს ჭეშმარიტებად, ნამდვილ ამბად ასაღებდენ,—ამას სჩადიოდენ გაბატონებული კლასები იმ მიზნით, რომ თავისი მდგომარეობა განემტკიცებიათ.

ს. მ.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

გვ.

1. გაუმარჯოს ლენინის ერთგულ და მტკიცე თანამებრძოლს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ბელადს ამხ. სტალინს . . . 1
2. ანტირელიგიური მუშაობა სკოლებსა და პიონერკოლექტივებში — მ. კ. . . . 2
3. აჩრდილი — ანტირელიგიური პიესა, — ა-მ. . . . 4
4. თალოს ლაშქრობა, — ლექსი — **ა. ადამია** . . . 9
5. ჩაგრულთ მწერალი, — **შ. თ—ლი** . . . 11
6. ოსკა, — **ი. ჯინჯიხაშვილი** . . . 12
7. თომას თხოვნა, — ლექსი, — **ი. ქარელიშვილი** . 13
8. მოზარდ მაყურებელთა თეატრი, — **ი. აბაშიძე** . 14
9. „ნორჩი ლენინელი“, — **იანი** . . . 16
10. „ქრისტეს შობა“ ხუცების გამოგონილი ზღაპარია, — **ს. მ.**—გარეკანის მეორე გვერდზე.
11. ტფილისის მუშები, მუშა კომკავშირელები და პიონერები „შობის“ დღეებში, — **შალი** — გარეკანის მესამე გვერდზე.
12. თამაშობანი, — **მ. გორგაძე** — გარეკანის მეოთხე გვერდზე.

329.15 3(05)
3-47.

მუშათა კლასის საქმისათვის იქაც მზად!

პიონერი

31 დეკემბერი
№ 24
წელიწადი მეოთხე
1929

საქართველოს ბ. კ. ფ. ცენტრალური და ტფილისის ბიუროების და განათლების სახალხო კომისარიატის სოციალური აღზრდის მთავარმართველობის ყურნალი ბავშვებისათვის

კ. ბეჩვაიას, ვ. ლუარსამიძის, ალიო მაშაშვილის, ნ. მაისურაძის და შოთაშვილის რედაქციით

გაუმარჯოს ლენინის ერთგულ და მტკიცე თანამეგრძოლს, საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) გელადს ამხ. სტალინს

მიმდინარე წლის 21 დეკემბერს 50 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ამხ. სტალინი დაიბადა. ყოველმა თქვენგანმა იცის, რომ ამხ. სტალინი ლენინის ერთგული მოწაფეა და მუშების და მშრომელი გლეხობის საყვარელი ბელადი, ყოველი ჩვენგანი უნდა ცდილობდეს, რომ ამხ. სტალინივით იბრძოდეს მთელი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

გავეცნოთ ამხ. სტალინის ბიოგრაფიას მოკლედ.

ამხ. სტალინი (სოსო ჯუღაშვილი) დაიბადა 1879 წელს ქ. გორში, ღარიბი ხარაზის ოჯახში. ამხ. სტალინი სწავლობდა სასულიერო სემინარიაში. აქ ის სათავეში ჩაუდგა რევოლუციონურ წრეებს, დაუკავშირდა პარტიულ ორგანიზაციას და დაიარებოდა მუშების ფარულ კრებებზე, რისთვისაც სემინარიიდან გამორიცხეს.

1898 წელს ის შევიდა ბოლშევიკური პარტიის ტფილისის ორგანიზაციაში და აწარმოებდა რევოლუციონურ მუშაობას მუშათა წრეებში. 1900 წელს სტალინი ხდება პარტიის კომიტეტის წევრი და მისი ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

პოლიციისაგან დევნილი სტალინი 1901 წელს გადადის ბაქოში, აარსებს იქ ბოლშევიკური პარტიის კომიტეტს და ხელმძღვანელობს გაფიცვებს ქარხნებში.

1902 წლის მარტში სტალინს ატუსაღებენ და ასახლებენ ციმბირში, ირკუტსკის გუბერნიაში. 1904 წლის იანვარში გადასახლებიდან გამოიქცა ტფილისში და სათავეში ჩაუდგა მთელი ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციას. 1905 წლის გასულს ამხ. სტალინი, როგორც ამერიკავკასიის დელეგატი, ესწრება ბოლშევიკურ კონფერენციას ფინლანდიაში.

1906 წელს სტალინი მიემგზავრება სტოკჰოლმის (შვეცია) და 1907 წელს ლონდონის პარტიულ ყრილობებზე, ლონდონის ყრილობიდან დაბრუნების შემდეგ, პარტიის დავალებით, ამხ. სტალინი ჩამოდის ბაქოში, სადაც ებრძვის მენშევიკებს. 1908 წლის მარტში მას აპატიმრებენ და ასახლებენ ვოლოგდის გუბერნიაში. აქედან სტალინი მალე გამოიქცა და განაგრძო არალეგალური მუშაობა.

1910 წელს სტალინს კვლავ აპატიმრებენ ჟანდარმები და ისევ ვოლოგდის გუბერნიაში ასახლებენ. სტალინი კვლავ გამოიქცა და პეტერბურგში ჩავიდა. პეტერბურგში აპირებდა მუშაობის დაწყებას, მაგრამ კვლავ დააპატიმრეს და გადაასახლეს ვოლოგდაში.

1911 წლის გასულს სტალინი ვოლოგდიდან პეტერბურგში გამოიქცა, რამდენიმე თვის შემდეგ ის ხელახლავ დააპატიმრეს და ახლა ნარიმის მხარეში (ციმბირში) გადაასახლეს 4 წლით. 1912 წლის ზაფხულში სტალინი ისევ პეტერბურგში გამოიპარა და გაემგზავრა საზღვარგარეთ, კრაკოვში, ამხ. ლენინთან. ამავე წელს ამხ. სტალინი აირჩიეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრად. 1912 წლის გასულს ის ბრუნდება პეტერბურგში, 1913 წელს კვლავ ატუსაღებენ და ასახლებენ ციმბირში, ტურუხანის მხარეში.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ სტალინი ბრუნდება პეტერბურგში. აქ ის აწარმოებს გაცხოველებულ მუშაობას და მაისში მას ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრად.

ოქტომბრის დღეებში ცენტრალური კომიტეტი ირჩევს ამხ. სტალინს „ხუთეულის“ წევრად; ეს „ხუთეული“ იყო ოქტომბრის აჯანყების პოლიტიკური ხელმძღვანელი.

1917 წლიდან სტალინი ცაკის წევრია. 1917 წლიდან 1922 წლამდე იყო სახალხო კომისრად. 1922 წლიდან კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი მდივანია. 1925 წლიდან კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის წევრია.

სამოქალაქო ომის წლები ამხ სტალინმა ფრონტებზე გაატარა. სამხედრო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით.

დღეს ამხ. სტალინი საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანია და კომინტერნის ხელმძღვანელი.

სტალინი ლენინის სამაგალითო, ერთგული და თავდადებული მოწაფეა, რომელიც შეუპოვრად ანხორციელებს ლენინიზმს.

ჩვენი გულწრფელი პიონერული სალამი და სიყვარული ამხ. სტალინს!..

ანტირელიგიური მუშაობა სკოლებსა და პიონერ-კოლექტივებში

ჩვენში, უმთავრესად პიონერ-კოლექტივებსა და სკოლებში, ანტირელიგიურ მუშაობას აწარმოებენ შემთხვევით, მხოლოდ მაშინ, როდესაც ახლოვდება „შობა“, „აღდგომა“ და სხვა „სასწაულებრივი“ დღეები, რის შემდეგ ბავშები ანტირელიგიურ მუშაობას ივიწყებენ და გადასდებენ მომავალ „დღესასწაულებამდე“. ამრიგად პიონერ-კოლექტივში ანტირელიგიურ მუშაობას მეათე ადგილს უთმობენ. ეს არ არის კარგი მოვლენა. არის შემთხვევები, როდესაც ზოგიერთი პიონერ-კოლექტივი აშკარად ურიგდება ზოგი პიონერის (განსაკუთრებით ეროვნული უმცირესობის) რელიგიურ ყოფაქცევას და ხელსაც არ უშლის ეკლესიებში და ლოცვებზე მათ სისტემატიურად სიარულს. მაგალითისათვის შეგვიძლია დავასახელოთ ახალციხის პიონერ-კოლექტივი. ამის წინააღმდეგ ჯერ იქაურ პიონერ-კოლექტივებს და უმმერთოთა უჯრედს არ უწარმოებია შეგნებული ბრძოლა სოფლის მოზარდი თაობის მორალურად დაპყრობის და კომუნისტური იდეების გავლენაში მოქცევის მიზნით.

ამ დროს კი სოფლის მღვდლები, სექტანტები და რელიგიური კულტის მსახურები და მათთან ერთად ჩვენი კლასიური მტრები ქალაქად და სოფლად — ნეპმანები, კულაკები და მათი აგენტები — ყოველმხრივ და ყოველთვის ცდილობენ ამ სარწმუნოების დროშის ქვეშ გაგვიწიონ უკანასკნელი წინააღმდეგობა, რომ ხელი შეუშალონ ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის, სოფლის კოლექტიური მეურნეობის და 5-წლიანი გეგმის გამარჯვების საქმეში.

ჩვენ ბევრი ფაქტი გვაქვს იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ იბრძვიან ისინი განუწყვეტელი საწარმოო კვირის, ოესვის კამპანიის, ქალთა ემანსიპაციის და ყოველგვარი კულტურული ღონისძიების წინააღმდეგ. აი, მაგალითად: ქალაქ კიმრახში ამ რამდენიმე დღის წინათ ღვთის მსახურებმა მოაწყვეს დებოში, რომ ჩაეშალათ სამშობიარო სახლის აშენება, დაუმთავრებელი ეკლესიის მაგიერ რომ შენდებოდა, მაგრამ დამნაშავენი დაატუსაღეს და პასუხისგებაში მისცეს.

ზოგიერთ მხარეში კი, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა ქვეყნებში (მაგ. უზბეკისტანში), მოლები თავს ესხმიან და ჰკლავენ სოფლელ ქალებს, რომლებმაც გაბედეს ჩადრის მოხსნა და ქალთა განთავისუფლების საქმეში და სოციალისტურ მშენებლობაში აქტიური მონაწილეობის მიღება.

ამ წელს, როდესაც ავღანისტანიდან გადმოსული ბასმაჩების რაზმი თავს დაესხა ტაჯიკისტანის საბჭოთა რესპუბლიკის ქალაქ გარმს, ისინი ხოცავდენ ჩადრახდილ ქალებს.

არის ისეთი ხალხი, რომელიც ვერ ამჩნევს ამ მოვლენას, ამ კლასთა ბრძოლას და ამბობს: „რელიგია უვნებელია“, „რელიგია ადამიანის კერძო საქმეა“ და სხვ. ამიტომ ისინი ფიქრობენ, რომ არაა საჭირო ანტირელიგიური ბრძოლა, თვით სწავლა და ცხოვრება თავის დროზე მოგვცემს ცოდნას ამ სფეროში სამუშაოდო. ამ ჯურის ხალხს ჩვენ ვეტყვით: „რელიგია ყოველთვის იყო და არის კლასიური ბრძოლის იარაღი, ის მუშათა კლასის (რომელმაც მეცნიერულად უარყო რელიგია) მტრების საშვალებაა!“

აი, აიღეთ თუგინდ „კულტურული“ ინგლისი, სადაც კონსერვატორებმა, ჩვენთვის და ყველასათვის ცნობილი ხიქსის ორგანიზატორობით (რომელმაც მოაწყო თავდასხმა არკოსზე) თავიანთ ჟურნალ-გაზეთებში დაიწყეს კამპანია „ჯვაროსნული ლაშქრობ ს“ გამოცხადებისათვის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ისინი ცდილობენ გასწყვიტონ ყოველგვარი დიპლომატიური დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანასთან. და განა სამოქალაქო ომის ისტორიაში ჩვენ ცოტა მაგალითი გვაქვს იმის დასამტკიცებლად, რომ მონასტრები და ეკლესიები იყო ერთადერთი თავშესაფარი მუშათა კლასის მტრებისა და კონტრრევოლუციონერებისა? განა ახლა, მშვიდობიანი მშენებლობის დროს, პოლიტსამმართველომ ცოტა ჯაშუში და კონტრრევოლუციონერი აღმოაჩინა ავტოკეფალურ ეკლესიებში და რელიგიურ სექტებში? ეს ყველაფერი ამტკიცებს იმას, რომ რელიგია აშკარად ემსახურება მუშა კლასის მტრებს!

განა ჩვენ შევძლებთ მოზარდი თაობის ინტერნაციონალური კავშირის და აღზრდის განმტკიცებას, თუ არ გავმართეთ შეურიგებელი ბრძოლა ყოველი ჯურის სარწმუნოების (რელიგიის) წინააღმდეგ?

რასაკვირველია, არა!

და სწორედ ამიტომ პიონერ-კოლექტივების აუცილებელი ამოცანაა უფრო გაამაგრონ და გაშალონ მებრძოლ უღმერთოთა რიგები ბავშთა შორის, უფრო სისტემატიური და ყოველდღიური გახადონ უღმერთოთა იდეები ჩვენს მუშაობაში, ოჯახსა და კერძო ყოფა-ცხოვრებაში.

ამისათვის ჩვენ უნდა ვიხელმძღვანელოთ მოწინავე პიონერ-კოლექტივების და სკოლების გამოცდილებით.

უნდა ითქვას, რომ ახლახან ჩატარებულმა „26“ რაიონის (ტფილისში) ახალგაზრდა უღმერთოთა კონ-

ფერენციამ მოგვცა პირველი ცდა ამ საქმეში. მიუხედავად მრავალი დეფექტის და მარცხისა. კონფერენციამ მაინც დადებითი შედეგები მოგვცა და ის ითვლება ერთად-ერთ ფორმად მებრძოლ უმერთოთა მორიგი პრაქტიკული ამოცანების ბავშთა შორის გადასაწყვეტად.

ასეთი კონფერენციები სისტემატიურად უნდა ხდებოდეს.

მებრძოლ უმერთოთა წრეებში (უჯრედები), ახალ წესდებასთან დაკავშირებით, რომელიც დამტკიცდა „უმერთოთა" მეორე ყრილობაზე, წევრებად მიიღებიან ბავშები 14 წლიდან. 8-დან-14 წლამდე კი ბავშები შემოიკრიბებიან ახალგაზრდა უმერთოთა ჯგუფში.

სწორედ ამიტომ ყოველ პიონერ-კოლექტივში და სკოლაში დღის წესრიგად უნდა დაისვას მებრძოლ უმერთოთა წრესთან ერთად ახალგაზრდა უმერთოთა ახალი ჯგუფების ჩამოყალიბების საკითხი მცირეწლოვანი ბავშებისათვის.

ამ საქმის ხელმძღვანელობა უნდა ითავონ პიონერ-ფორპოსტებმა და პიონერ-კოლექტივებმა. უჯრედის ჩამოყალიბების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ უჯრედში ჩაეწერონ მოზრდილი ახალგაზრდები, რომლებიც შეგნებულად უარყოფენ რელიგიას და მზად იქნებიან აწარმოონ აქტიური მუშაობა რელიგიის წინააღმდეგ. თუ უჯრედის ჩამოყალიბების დროს ასეთი ხაზი არ გავატარეთ, მაშინ უჯრედი სუსტი იქნება და მალე დაიშლება.

მებრძოლ უმერთოთა ყოველმა უჯრედმა მორიგ ამოცანად უნდა დაისახოს ახალგაზრდა უმერთოთა წრეების დაარსება, ამ წრეებმა უნდა მოამზადონ უმერთოთა აგიტატორების და პროპაგანდისტთა მებრძოლი კადრი.

როგორც კი ამ წრეების წევრები შესაფერ ცოდნას მიიღებენ, მაშინ მათ ეს ცოდნა გადააქვთ წრის გარეთ—წითელ კუთხეებში, თავისი სკოლის მოწაფე ბავშებსა და ოჯახში.

ჩვენ უნდა ვეცადოთ მივაღწიოთ იმ მდგომარეობას, რომ თვითონ ახალგაზრდა უმერთოებმა გაავრცელონ ანტირელიგიური იდეები ბავშებს შორის.

რომ ხსენებულმა წრეებმა კარგად იმუშაონ, საჭიროა ამ საქმეში ჩაბმულ იქნან კონსულტანტებად მასწავლებელნი და სპეციალისტები, კერძოდ კომკავშირის ძალები კი ხელმძღვანელებად.

ამასთან ერთად მებრძოლ უმერთოთა რაიონულმა საბჭოებმა ინსტრუქციების და სხვა ღონისძიებათა სახით დახმარება უნდა გაუწიონ იმ სპეციალისტებს, რომლებიც მუშაობენ ბავშთა შორის ანტირელიგიური იდეების გავრცელების მიზნით.

ანტირელიგიურ მუშაობას სკოლებსა და პიონერ-კოლექტივებში მთელი რიგი ცოცხალი და მასიური სახე აქვს, რომელთა განვითარებისაკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ყურადღება; ასეთი სახეებია: ანტირელიგიური საღამოები, ღილა, ცოცხალი გაზეთები, უმერთოთა კუთხეები და სხვა მრავალი ღონისძიება, მხოლოდ მთავარია, რომ ამ მუშაობას სისტემატიური და გეგმიანი ხასიათი ჰქონდეს, რომ ეს მუშაობა არ შემოიფარგლოს მარტო ვიწრო წრით, არამედ გადავიდეს ორგანიზაციის გარეთ დარჩენილ ბავშებსა და მშობლებში.

საკავშირო შეკრებამ ამ საკითხის შესახებ თავის დავალებაში აღნიშნა, რომ სკოლებში არდადეგები არ უნდა დაემთხვეს რელიგიურ დღესასწაულებს, არამედ ისინი გადატანილ იქნენ სხვა დღეებში; ამ დავალების შესრულება, რასაკვირველია, თავდაპირველად ეკისრება ახალგაზრდა უმერთოთა წრეებს.

აქაც საჭიროა სოცშეჯიბრის გამოცხადება პ/კოლექტივებსა და მებრძოლ უმერთოთა კავშირთ შორის ანტირელიგიური პროპაგანდის საბოლოოდ გამარჯვებისათვის.

მ. კ.

პიონერებო, ტარდება თესვის კამპანია,

ემზადეთ მასში აქტიური მონაწილეობის მისაღებად!

ეროვნული ბიბლიოთეკა

აჩრდილი

ანტირელიგიური პიესა 3 სურათად ინტერმედიებით.

მოქმედნი პირნი

ინტერმედიაში:

1) პირველი პიონერი—ვაჟი
2) მეორე პიონერი—ქალი.

პიესაში:

1) დიაკვანი—ეშმაკური გამომეტყველების.
2) დედაბერი—ულარეჯილი და საზარელი.
3) პიონერრაზმის წინამძღოლი — გამბედავი ყმაწვილი.
4) სონია—ძალიან მშიშარა, თავის ამხანაგებთან შედარებით მაღალი.
5) ტოლია—მოშიშარი, სხვებზე უფროსია.
6) იური—ძალზე მამაცი, გამბედავი, სხვებზე უმცროსია.
7) მიტო—გამბედავი.
8) თედო—სოფლის ბობოლა გლეხი.

სურათი პირველი

სანამ ფარდა აიხდებოდეს, სცენის წინ გამოდის ორი პიონერი.

I პიონერი: რა იქნება აქ, თუ იცი?

II პიონერი: არ იცი? წარმოდგენა.

I პიონერი: რის შესახებ?

II პიონერი: რის შესახებ? სასწაულებზე!

I პიონერი: სტყუი, ვის უნდა სწამდეს ახლა სასწაულები?

II პიონერი: თუ ვტყუი, ახლავე ნახავ! იურმე პიონერთა მეხუთე რაზმისათვის ვერ აღმოაჩინეს საკლუბო ბინა. გადასწყვიტეს ჩვენი სოფლის ეკლესიის სენაკში გაეხსნათ კლუბი და სამკითხველო. ბინას არა უშავს რა, ფართოა და მთელი რაზმი მოთავსდება შიგ... მხოლოდ ამ სენაკის შესახებ საშინელი ხმები დადის სოფლად... თითქოს იქ ღამ-ღამობით რაღაც სასწაულები ხდება! მაგრამ პიონერებს არ შეეშინდათ ამ სასწაულის და გადასწყვიტეს თურმე „მკვდარ სულებზე“ თავდასხმა!

I პიონერი: მერე?

II პიონერი: აი, ახლავე ვნახავთ! (ხმამაღლა) მაშ, ვიწყებთ, ასწიეთ ფარდა! ხალხო, სმენა!(გადიან. იხსნება ფარდა. სცენა ცალიერია. შორიდან მოჩანს ეკლესიის გალავანი, შიგ—დაძველებული სენაკი. შემოდიან პიონერები ფიქლით მათ წინ უძღვის წინამძღოლი)

წინამძღოლი: აი, ჩვენი კლუბიც! (ხელს იშვერს ეკლესიისაკენ).

სონია: (უკმაყოფილოდ) ესაა ჩვენი კლუბი? რავა ძერასავით ჩაფრენია მიწას. შეხვალ და მზად არის თავზე დაგეცეს. აქ კლუბის მოთავსება როგორ შეიძლება?!

იური: მივხვდი, სონია, რატომ ლაპარაკობ ასე!

სონია: რატომ, რატომ?

იური: რატომ და... თქვენ ყველანი მშიშარები ხართ! გეშინიათ იქ ყოფნა, რადგან ის ეკლესიის ეზოშია!

ტოლია: (ჯავრობს) ვინ არის მშიშარა! იცი, დედამ წუხელის რა მითხრა? იმ კლუბში ნუ შეხვალ,თორემ მკვდრები დაგახრჩობენო. იქ ყოველლამ იყრიან თავს მკვდრებიო.

იური: და საერთო კრებას მართავენო, არა? (დაცინვით)

მიტო: მკვდრებსაც უნდათ კლუბი, მაშ!

ყველანი: ხა, ხა, ხა! (იცინიან)

წინამძღოლი: გეყოთ ლაზღანდარობა! პიონერებო, სირცხვილი თქვენი, რომ რაღაც ჭორები გჯერათ. ჩვენ, პირიქით, უნდა დავამტკიცოთ, რომ ეს ყველაფერი ხალხის თვალ ასახვევადაა მოგონილი. თავდაპირველად ჩვენ ეს უნდა დავუმტკიცოთ ისეთებს, როგორიც არიან ტოლიას დედა და სხვები.

იური: ამ მიზნით კოლექტივიდან უნდა გამოვყოთ ყველაზე მშიშარა ამხანაგები და ეკლესიის გალავანში გავაგზავნოთ სადარაჯოდ. დე, ისინი დარწმუნდენ, რომ არავითარი მკვდარი სულები არ არსებობენ და სხვებსაც აუხსნან ეს ცრუმორწმუნეობა!

ყველანი: მართალია, მართალია! გამოვყოთ ტოლია და სონია.

ტოლია: (ჯავრობს) რატომ მაინც და მაინც მე? არა, მე არ წავალ. პროტესტს ვაცხადებ!

სონია: მეც არ წავალ! რატომ მე? სხვა გააგზავნეთ! რატომ მაინც და მაინც მე?

მიტო: იმიტომ, რომ თქვენ ჩვენში ყველაზე უფრო მშიშარები ხართ! და აგრეთვე უფროსებიც!

ტოლია: სტყუი! ვინ არის მშიშარა? ის კი არა, წუხელის ხუთი ხულიგანი დამესხა თავს, მაგრამ ოთხ იმათგანს სულ „ვაი დედა“ ვაძახე, გვერდები დავუზილე, ორს კი მილიციაში ამოვაყოფინე თავი!

იური: ესე იგი, ექვსი ყოფილა და არა ხუთი ხულიგანი. (იცინიან)

წინამძღოლი: მაშ, თუ ასეთი გამბედავი ხარ, რათ გეშინია იქ წასვლა!

ტოლია: ვინ გითხრათ მეშინიაო? მხოლოდ მე... პროტესტს ვაცხადებ.

სონია: კარგი. ჩვენ წავალთ. მხოლოდ, თუ რამე დაგვემართა, ამაზე თქვენ აგებთ პასუხს.

წინამძღოლი: კარგი. წადით. ჩვენ აქ მოგიცდით. ნაწილი პიონერებისა ჩემთან დარჩება, ნაწილი კი იურისთან.

(დაიშლებიან. სონია და ტოლია სცენაზე დარჩებიან)

ტოლია: (ჩუმად) მართლა მივდივართ?

სონია: მოდი, გავიპაროთ!

ტოლია: სირცხვილია. დაგვცინებენ.

სონია: მაშ შენ წადი პირველად! (უბიძგებს ეკლესიისაკენ)

ტოლია: ერთად წავიდეთ. რათ გეშინია? (მიდიან)

სონია: (შეკრთება) ჰოი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტოლია: (შეხტება) რა იყო? (იური და სხვები კუთხეში დამალულნი უცქერენ მათ)

იური: (გამოჩნდება) მგონი ბედავენ შესვლას. მოიცათ...

მიტო: ییی... ჩათლახები არიან და არა პიონერები!

(ამ დროს სენაკის ფანჯრიდან გაიულვეს სინათლე, გამოჩნდება თეთრში გახვეული აჩრილი. ისმის დამურასებური წრუწუნი. სონია და ტოლია შიშისაგან აყვირდებიან: „ვაიმე, გვიშველეთ! დედა!“ უეცრად სცენაზე გამოვარდებიან და იქით-აქით დარბიან.)

იქ, სადაც იწყობა „პიონერი“

ტოლია: მკვდრები მოგვდევენ!.. გვიშველეთ!..

სონია: დედა, დედიკო!..

ყველანი: (შემოტვივდებიან) რა იყო? რა მოხდა? ხომ არ შეშლილხართ?

ტოლია: (ეკლესიისაკენ იხედება) მოდის, მოდის. (გარბის. უკან სონია მისდევს.)

წინამძღოლი: გაიქცენ!

I პიონერი: მათ ახლა ავტომობილიც ვერ დაეწევა!

II პიონერი: ამხანაგებო, წინადადება შემომაქვს დავიშალოთ.

იური: რაო? დავიშალოთ? კლუბი?

მიტო: ყმაწვილებო, მე და იური ეკლესიის გალავანში წავალთ, ვნახავთ, იქ რა ხდება. კარგი?

ყველანი: წადით. ჩვენ აქ მოვიცდით!

წინამძღოლი: მაშ წავიდეთ. მიტო და იური აქ დარჩებიან.

ყველანი: წავიდეთ!

წინამძღოლი: აბა, ჩადექით! მარცხნივ, იარ! (მიდიან დოლის ხმაურით და პიონერული სიმღერით: „ძირს ღმერთი, ხატი, ძირს სასწაული“. იური და მიტო სცენაზე რჩებიან)

იური: „ძირს ღმერთი, ხატიო“—და თვითონ კი ეშინიათ... (დაცინვით გახედავს მიმავალ რაზმს) ფუ! მშიშარები!

მიტო: იური... მართლა... არ გეშინია იქ შესვლა?

იური: მე?.. (ფიქრობს) მართალი გითხრა, ცოტათი მეშინია.

მიტო: მეც მეშინია! მაგრამ, რახან დავიკისრეთ, უნდა შევასრულოთ, თორემ დაგვცინებენ. (მიდიან ეკლესიისაკენ)

ფარდა

სურათი მეოთხე

I პიონერი: ამხანაგებო, სასწაული იწყება!

II პიონერი: ასწიეთ ფარდა! (იმალებიან)

სცენაზე ეკლესიის გალავანი. ძველის-ძველი სენაკი. შიგ ეკლესიის მოწყობილობა. კართან დგამი. მაგიდა—სუფრაგადაფარებული. იქვე სავარძელი თეთრი ვადასაფარებლით. დამეა. პაუსა. ისმის კაკუნი)

იური: (გარედან) გააღეთ! (ისევ სიჩუმე. გამოჩნდება ეშმაკის მსგავსი დედაბერი, ჯოხზე დაბჯენილი)

დედაბერი: ვინ არის მანდ! ავსულია თუ კეთილი!

იური: ჩვენ ვართ, პიონერები. გვინდა შენი სახლი დავათვალიეროთ!

მიტო: აქ ჩვენი კლუბია, გააღეთ ჩქარა!

დედაბერი: (ყრუდ, ცნავის, ამინებს.) აკრძალულია ამ ოთახსა შინა ურწმუნოთა ფეხის დადგმა!

იური: გააღეთ მეთქი, თორემ შემოვამტვრევთ!

დედაბერი: ახ, წყეულებო! (ადგებს. ბავშვები თავს შემოჭყოფენ. იხედებიან, შემოვლენ)

იური: ვინ ცხოვრობს აქ?

დედაბერი: (ყრუდ. თითქოს არ ესმის) დაღამდება თუ არა, მამალი იყივლებს თუ არა, ამ სახლსა შინა ხდება სასწაული! ბალალა, ბურრ-დი!

მიტო: რას ამბობს?

იური: შენ, ეი, ბებერო, რას ბოდავ!

დედაბერი: (თითქოს არ ესმის) ბალალა—ბურრ-დი!

მიტო: რა ეშმაკსა ჰგავს!

იური: ნამდვილი მზაკვარია!

მიტო: რა საშინლად ცნავის!

იური: მოიცა, მას ახლავე გამოვარკვევ. შენ, ეი, გესმის, დედაბერო, გველაპარაკე გასაგებად, თორემ მილიციას მოვიყვანთ!

დედაბერი: (ხმას იცვლის) რა იყო, შვილებო! მე ამ სახლის დარაჯი ვარ!

მიტო: ჰო, ასე სთქვი... თორემ რა ნიშნავს: ბალალა, ბურრ-დი! (დასცინის)

დედაბერი: შვილებო, მოუტევეთ უჭკუო დედაბერს. ჭკუა გამომეცალა ამ ყრუ და საშინელ ოთახში ყოფნით. ხომ იცით, აქ ღამ-ღამობით რა საშინელი სასწაულები ხდება? დაღამდება თუ არა, მამალი იყივლებს თუ არა...

იური: ეიცით! გაგვიგონია. წადი, წადი, ჩვენ აქ ვრჩებით. ჩვენ აქ კლუბს ვხსნით! წადი და, როცა საჭირო იქნება, ჩვენ დაგიძახებთ!

დედაბერი: შვილებო, ნუ შესცოდებთ წინაშე ღვთისა, აქ კლუბის გახსნა როგორ შეიძლება. ეს ხომ ღვთის სახლია, ზეგარდმო მადლით გასხივოსნებული! ჭკუაზე ხომ არ შეშლილხართ? აქ ხომ განადგურდებით!?

იური: წადი, წადი! (გააგდებს კარში)

მიტო: ნამდვილ ეშმაკს ჰგავს!

იური: გამოჩერჩეტებული დედაბერი...(ათვალიერებს ოთახს) ოჰო, ოთახს არა უშავს. ფართოა და კარგიც. კლუბად გამოდგება! არა, მიტო?!

მიტო: მე წინადადებას ვიძლევი (თითს უშვერს) აქ გავაკეთოთ სამკითხველო, აქ—კლუბი.

იური: აქ კი ლენინის კუთხე და წითელი დროშა!

მიტო: ძალიან კარგია.

იური: (სთვლემს) მეძინება!

მიტო: მეც! მოვიცადოთ კიდევ ცოტა ხანი. (დასხდებიან. პაუზა)

იური: (პაუზის შემდეგ) სონიასა და ტოლიას შესახებ საკითხი უნდა დავსვათ კრებაზე. ისინი გამოსაგდები არიან. მშიშარები!

მიტო: (პასუხს არ აძლევს. სთვლემს. ამ დროს ვიდაც ძალზე დაამცხიკვებს)

იური: (შეკრთება) რას ამცხიკვებ? ხომ არ გაცივდი?

მიტო: რას ბოდავ? ვინ ამცხიკვებს, ალბათ შენ დაამცხიკვე და გინდა მე გადამაბრალო. გაჩუმდი, ძილს ნუ მიფრთხობ!

იური: (ეძინება) დაიძინე! (უცბად გაისმის ხველა)

მიტო: იური, დაანებე მასხრობას თავი, რას ახველებ.

იური: შენ შარზე ხომ არა ხარ! მე არც დამიმცხიკვებია და არც დამიხველებია. შეიძლება შენ მოგესმა. ჩუმად იყავ!

მიტო: გეყო მასხრობა, დაიძინე!

(ამ დროს სკამქვეშ გამოჩნდება შავი ხელი და ორივეს ზურგზე დაარტყამს).

იური: რა იცემები? აი, თუ გინდა! (გაარტყამს)

მიტო: მე რა შუაში ვარ! როდის გამირტყამს შენთვის? აჰა, გარტყმა თუ გინდა.

(გაარტყამს. ერთმანეთს სცემენ. ამ დროს ვიღაცა იურის ცალ ხელს დაუჭერს, მიტოს კი ფეხებს შეუბოდკავს. მიტო და იური შიშისაგან შეხტებიან და აყვირდებიან: „გაიმე, მიშველეთ, მკვდრები!". აჩრდილი გაქრება)

იური: (შეშინებული) ვიღაცამ ხელები დამიჭირა!

მიტო: მე ფეხები შემიბოჭა!

იური: აქ ვიღაც არის. დავზვეროთ. (სკამებ ქვეშ იხედებიან. ამ დროს სავარძლიდან გამოხტება აჩრდილი და გაქრება).

იური: არავინაა! ალბათ მოგვეჩვენა!

მიტო: არა, მე შინ მივდივარ!

იური: შე ხც დაიწყე? სონია ხომ არა ხარ? მოდი, იმ სავარძელზე დავსხდეთ. იქ უკეთესია!



„ამერიკანკა"-ზე მუშაობენ



იქ, სადაც იბეჭდება „პიონერი"

მიტო: შენ წადი, მე აქ დავდგები!

იური: მიდის სავარძელთან და ჯდება. (უეცრად სავარძლის უკან ამოფარებული აჩრდილის ხელები შებოჭავს მას და უჭერს. იური ყვირის: „მიშველეთ, გაიმე!)"

მიტო: (სკამქვეშ შეძვრება და თვალდახუჭული ყვირის) გვიშველეთ, დედა, დედილორო!

იური: ოხ! (გაუსხლტება ხელიდან და მიტოსაკენ გარბის. ერთმანეთს მოეხვევიან. ცახცახებენ)

მიტო: ვაიმე!„

იური: წადი, ნახე, რა არის იქ.

მიტო: თვალს ვერ ვაღებ, მეშინია, მკვდარი არ წარმომიდგეს!

იური: (თვალებს ხელს მოუმორეებს) ჰა, გაიხედე! (სავარძელი გაქრება)

მიტო: რა მოხდა?

იური: სავარძელი წავიდა!

მიტო: სად წავიდა, განა ის ცოცხალია?

იური: ცოცხალი არ არის, მაგრამ სადღაც გაქრა! საკვირველია, მოდი დავზვეროთ! წადი, იქ რაღაც მოძრაობს! (ხელს უშვერს)

მიტო: რაო? მე აქედან ფეხს არ დავძრავ!

იური: წამო მეთქი (მიათრევს), წამო! (მაგიდას უახლოვდებიან უეცრად სუფრა აფრინდება ზევით, ცეკვას იწყებს).

იური და მიტო: (შეხტებიან) ახ!

მიტო: ცოცხალია, ცეკვავს.

იური: მასში ალბათ მკვდარი სულია გახვეული.

მიტო: მე პირჯვარს გადავიწერ. შეიძლება გაქრეს. (პირჯვარს იწერს. ამ დროს გამოჩნდება თეთრი აჩრდილი და მათკენ წამოვა)

იური და მიტო: ოი!

იური: მოჩვენებაა!

მიტო: მკვდრის სული! ოი! დედა!

(დაიბნევიან. დარბიან. „გვიშველეთ, გვიშველეთ". აჩრდილი დასდევს. შემდეგ ქრება. მიტო და იური მაგიდის ქვეშ შეძვრებიან და ცახცახებენ)



„პიონერს“ კეცავენ

იური: აკი გეუბნებოდი, პირჯვარს ნუ დაიწერ მეთქი. ვიცოდი, უარესი იქნებოდა.

მიტო: წავიდეთ ჩქარა აქედან.

იური: სუ! კიდევ ვიღაც მოდის!

(ისევ გამოჩნდება აჩრდილი. ღმუის. ბავშები ცახცახებენ. აჩრდილი შეჩერდება. მიტო და იური კუთხეში იმალები.ნ. აჩრდილი მათ ვერ ამჩნევს. ხალათს იხდის. გამოჩნდება დიაკვანი)

დიაკვანი: ტერეზა, ტერეზა! (შემორბის დედაბერი ჯოხზე დაყრდნობით).

დედაბერი: რას მიბრძანებთ, მამაო დიანოზ!?

დიაკვანი: დაფრთხენ, გაქცეულან; მგონი აქ აწ ვერ შემობედავენ შემოსვლას. ხი, ხი, ხი! (ხითხითებს)

დედაბერი: (ხითხითებს) კლუბი უნდა გავხსნათო!

დიაკვანი: უყურეთ ამ პაცანებს, რა კარგი განზრახვა ჰქონიათ? ოი, წყეულები! მალე მოეღება ბოლო ამ ხალხსაც! ტერეზა, მზად არის ქვაბი? მაშ, დავდგათ არაყი.

დედაბერი: ისეთი მაგარი არაყი გამოგვივა, რომ ცეცხლივით იქნება. მუცელს დასწვავს.

დიაკვანი: ტერეზა, არაყის სმას გაუფრთხილდი, თორემ ასე ცოტ-ცოტაობით ამოსცლი იმ ქვაბს! (ჯავრობს) წადი, კარი ჩაკეტე!

დედაბერი: ხი, ხი, ხი! (კარს კეტავს)

დიაკვანი: ახლა საქმეს შევუდგეთ, არაყი გამოვხადოთ.

იური: (კუთხეში, ჩურჩულით) ხედავ, რა ამბავია!? აჩრდილი დიაკვანი ყოფილა. მიხვდი, რა საქმეს სჩადიან? არაყს ხდიან!

მიტო: ახლავე ვაცნობოთ ამხანაგებს.

იური: ჩუმად, არ დაგვინახონ. (გაძვრებიან. მიტო იმუქრება: „ბალალა, ბურრ-დი!“ გამოდის დედაბერი. ხელში ბოთლით არაყი უჭირავს. სვამს, მთვრალია).

დედაბერი: (ლუღლუღებს და მღერის) „ამ არაყის დალევამ გამომიწვა მუცელი. (დალევს. პაუზა) კარის დაკეტვა დამვიწყებია (მიდის კარისაკენ) **აქ კლუბი უნდა გავხსნათო. ოი, უწმინდურებო! მერე სად უნდა გამოგვეხადა არაყი?** ის დღე ნუ გაგითენოსთ უფალმა, რომ თქვენ აქ კლუბი გახსნათ, თქვე საძაგლებო, თქვენა. (პარპაცებს) მალე მოგეღებათ ბოლო. მე ამას ყოველდღე დიაკვანი შეუბნება. ის ამბობს, ამ ხელისუფლებას მალე მოეღება ბოლოო. ოი, ღმერთო, შენ გადმოხედე მონასა შენსა!

(მღერის)

ეხ, მიყვარდა ტერტერა,
თმაგრძელი და თეთრწვერა,
დღეს კი, ჩემო ტერტერა,
ყველა გადაგემტერა!

ფ ა რ დ ა

სურათი მესამე

ფარდის წინ ორი პიონერი

I პიონერი: აი, ხომ ნახეთ, რა საქმეს აკეთებენ დიაკვნები, მღვდლები და ტერტერები? ხალხს ცრუმორწმუნეობით აბრიყვებენ, თვითონ კი არაყს ხდიან საკუთარი ჯიბის გასასქელებლად.

II პიონერი: მართალია, გვატყუებენ; ღმერთი, ხატი, სასწაულები—სულ მათი მოგონილია.

ორივე: მაშ, ვიწყებთ. სურათი მესამე! ასწიეთ ფარდა! (გადიან)

(სცენაზე იგივე მოწყობილობა. დამეა. სუფრაზე ბოთლები, ჭიქები და სხვა. ფანჯრიდან თავს გამოჭყოფს მიტო: „არავინ არის“ იურის ხმა: „შეძვერი, კარი გააღე“)

იური: მე და მიტო აქ დავრჩებით! თითქოს არაფერი! ის მოჩვენება ალბათ კვლავ გამოჩნდება ჩვენს დასაშინებლად. ჩვენ მაშინ ვიყვირებთ, და დავატუსაღოთ. კარგი? მაშ წადით. ბავშები მაგრად გყავდეს. როგორც კი გაიგონებთ ყვირილს, შემოცვივდით. ჩვენ მას ვაჩვენებთ სეირს! (შემოდიან)

მიტო: უყურე, სუფრა გაუშლიათ! ფუ! რა არაყის სუნი დგას. წუხანდელი შიში არასდროს არ დამავიწყდება! არა, იური?

იური: ჩვენც ახლა მათ ისეთ შიშს ვაჭმევთ, რომ ვერასოდეს ვერ მოინელონ! (ისმის ხმაური)

მიტო: სუ! ვიღაც მოდის!



პიონერი კერავს ყურ. „პიონერს“

იური: დავიმალოთ! (იმალებიან. გამოდიან მთვრალი დიაკვანი და ბოზოლა გლეხი, არაყი შემოაქვთ)

მიტო: სუ! გაჩუმდი! ხედავ, რა ამბავია!?

დიაკვანი: დღეს ძალიან მოვითბეთ ხელი, არა, ჩემო თედო?

თედო: ერთი პარტია არაყი გავყიდეთ, მხოლოდ დანარჩენიც უნდა გავასაღოთ.

დიაკვანი: ახლა ისეთ არაყს ვამზადებ, ჩემო თედო, რომ ორმაგ ფასად გაიყიდება!
(ისმის კაკუნი)

დიაკვანი: ვინ არის? (გარედან ისმის ხმა: **„მე ვარ“** შემოდის ტერეზა დედაბერი ჩიფჩიფით)

დედაბერი: ღამე მშვიდობისა, თედო! (დიაკვანს) მამაო, ძალიან ადრე დაბრუნებულხართ!

დიაკვანი: ღმერთი წყალობს მოსაგებსა საქმესა, წუხანდელი პარტია არაყი სავსებით გაიყიდაა!

დედაბერი: ხი, ხი, ხი!

დიაკვანი: (დაასხამს არაყს) ახლა ცოდვა არ იქნება დავსხდეთ, დავლიოთ კიდე�ე!

თედო: ძალიან ცუდი დარებია!

დიაკვანი: რა გიჭირს, ჩემო თედო, შეშა არ გაკლია და საჭმელი. ამბობენ, მას შემდეგ, რაც კოლექტივის პური დაიწვა, ფუთ ხორბალს ორმაგ ფასად ჰყიდი!?

თედო: მაშ! კონკურენციას მიწევდენ! მაგრამ...(სვამს)

მიტო: დრო არის! (იური დააკაკუნებს)

დიაკვანი: (შეხტება) ვინ არის? ალბათ ის წყეულები ბავშები კიდევ არ გვშორდებიან.

თედო: ვინ ბავშები!?

დიაკვანი: პიონერები. აქ, ჩემს სახლში, კლუბის გახსნა განუზრახავთ!

დედაბერი: (ხითხითებს) ხი, ხი, ხი!

დიაკვანი: საშველი არ არის! უნდა დავაშინო. (წამოდგება) შენ, თედო ჩემო, გაიპარე აქედან. მე მათ დავუდარაჯებ და დავაფრთხობ! რათ შემომეჩვიენ ის წყეულები?! (თედო გაიპარება. დედაბერი სანთელს დაუწევს. დიაკვანი გარბის მეორე ოთახში. იური და მიტო იცინიან. პაუზა)

იური: შევიდეთ! (შედიან. ათვალიერებენ)

მიტო: გაიპარენ!

იური: ღამურებივით გაიპარენ! ეი, ვინ ხართ მანდა, აქ გამოდით! (კვლავ იმეორებს)

მიტო: არავინ არის! (დაჯდება) ფუ! რამდენი არაყი დაულევიათ!

იური: გაიგონე ბობოლა თედოს სიტყვები?

მიტო: ჰო, ის ნამდვილი კონტრრევოლუციონერია. ხედავ, რა საქმეებს აკეთებენ ღამ-ღამობით! უუ! გაიძვერას წრეულს საბჭოში უნდოდა შეძრომა, მაგრამ არ გაუვიდა ოინები!

იური: მართლაც ეს ოთახი საუცხოვო იქნება კლუბისათვის. (ისმის კნავილი, ღმუილი და ბრახუნი)

მიტო: (შეხტება) სუ! ხმაური!

იური: ისევ აჩრდილი! აი, ხედავ? (აჩრდილი შავი ბრჭყალებით უახლოვდება მათ, თან ღმუის)

მიტო: ვაიმე! (დარბის) იური, მიშველე!

იური: ვინა ხარ? (აჩრდილი აქნევს ხელებს და ღმუის)

მიტო: ყვირილს დავიწყებ!

იური: მაშ არ იტყვი? (დაიყვირებს) ეი, შემოდით. (უეცრად გაიღება კარი და შემოცვივდებიან პიონერები. წინამძღოლს ხელში ნაგანი უჭირავს. ხმაურია)

წინამძღოლი: ასწიე ხელი, თორემ... (უმიზნებს. აჩრდილი ცდილობს შეაშინოს. ხელებს აქნევს)

იური: ასწიე ხელი!!

წინამძღოლი: მაშ, არ ასწევ? (უმიზნებს. აჩრდილი ხელებს ასწევს).

იური: მეგობრებო, სტაცეთ ხელი. (მიცვივდებიან, ხელებს დაუჭერენ)

წინამძღოლი: ვინა ხარ? (ნიღაბს ჩამოგლეჯს. ხელში შერჩებათ პირდაღებული დიაკვანი).

პიონერი: ეს ხომ ჩვენი დიაკვანი დიანოზია? (პიონერები ყვირიან: „ჩვენი დიაკვანი დიანოზი“)

წინამძღოლი: მაშ, შენა ხარ, აქ ხალხს რომ ატყუებ სასწაულებით?

დიაკვანი: (დაღრეჯილი) მომიტევეთ, არასოდეს აღარ ვიზამ.

იური: ახლავე მილიციაში!

ყველანი: მილიციაში! (ყვირიან)

დიაკვანი: (თხოვნით) მომიტევეთ, ახალგაზრდებო, ვცდებოდი! ყველაფერში დამნაშავე ვარ! აწ არ ვიზამ!

იური: აწ კიდევ მოატყუებ ხალხს, კიდევ გამოხდი არაყს?

დიაკვანი: არ ვიზამ, არაფერს არ ვიზამ.

წინამძღოლი: მაშ, განაცხადე ხალხის წინ, რომ თქვენ ყველაფერში სტყუით, რომ ყველა სასწაული თქვენი მოგონილია.

დიაკვანი: (ხმაჩახლეჩილი) „მართალი არის, ხალხს ვაბრიყვებდი,
მქონდა ცხოვრება უქმი, მდიდრული:
მაგრამ გაიგეს ჩემი ხრიკები
და სამუდამოდ დავრჩი ბითური!“

წინამძღოლი: აი, ამხანაგებო, ხომ გაიგეთ ღვთისმსახურების საიდუმლოება? ყველაფერი ძათი მოგონილია. ისინი ხელს გვიშლიან მუშაობაში, ისინი მტრები არიან საბჭოთა ხელისუფლების. ისინი ბობოლების და ბურჟუების ხელისშემწყობი აგენტები არიან.

იური: სარწმუნოების გამომხატველი
მოგონილია ეს ძლიერებაც.

ყველანი: ძირს რელიგია, ღმერთი, ხატები,
ვაშა ბრძოლას და მეცნიერებას.

წინამძღოლი: პიონერებო, გასწორდით, სმენა!
ნაბიჯი მარცხნივ, მხარდამხარ იარ! (ჩამწკრივდებიან და დოლის ხმაურზე მღერიან: **„ძირს რელიგია, ღმერთი, ხატები“ და სხვა**).

ა—მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თალოს ლაშქრობა

1

თუნდაც ახლა, როცა მინას
თოვლთა ფიფქის გროვა ბურავს,
ზის ბებია ბუხრის პირად,
ამბობს ზღაპარს ძველებურად...

ისევ ზუის ქარი გარეთ,
და იმსხვრევა ტოტთა გროვა,
გარეთ — ქარი მომთაბარე,
გარეთ ქრის და ჩამოთოვა;

რა კარგია ამ დროს ცეცხლი
და ბუხართან თბილად ჯდომა...
გარეთ ისევ ქარბუქია,
გარეთ ქრის და ჩამოთოვა...

ამბობს ზღაპარს, გულში თანაც
„ქრისტეს შობის“ უვლის ფიქრი:
ხალხმა როგორ ადიადა
და მიართვა მას გვირგვინი...

ყოვლის შემძლე იყო ქრისტე,
აღარ ჰყავდა ქვეყნად ტოლი,
რიგ-რიგად განააწილა
მან ყმა, მონა და ბატონი...

ახლა მღვდელი არ ეგულვის
და არც ზართა ესმის რეკა,
უკვირს, ხალხმა როგორ დასთმო
ღმერთი, როგორ გაიმეტა?

თანაც ფიქრობს: ეს სოფელი
აღარ ინდობს მღვდელს და ბერსაც,
და თემსაბჭო გაუხდია
ჩვენი სოფლის მქადაგებლად!

მაგრამ რაა, თუ ყოველდღე
აღარ ისმის ზართა რეკა?
ხალხმა ქრისტე რატომ დაჰგმო,
ხატი რისთვის გაიმეტა?

და აგრძელებს ზღაპარს ისევ,
მოგონებით ირთვის, ხარობს,
რომ ხვალინდელ დღით და ამბით
ბავშებმაც კი იხარხარონ...

2

ჩვეულებრივ თალოს სახლში
სამზადისი იყო შობის,
დილით უნდა მოესმინათ
მათ სიმღერა მახარობლის!

მაგრამ თალოს ხომ არ სძინავს,
გეგმები აქვს მას თავისი;
მასაც ჰქონდა მუშაობა,
ლაშქრობისთვის სამზადისი...

თუნდაც ახლა, როს ბებია
ჰყვება არაკს ასე ჩუმად,
ის მზად არის წინ აღუდგეს,
განუცხადოს მედიდურად:

„ჰეი, ბები, ბები, გესმის,
ხედავ, ქუდი როგორ მხურავს?
ეს ცხოვრება შეტრიალდა
და არ ბრუნავს ძველებურად!..“

3

მეორე დღეს, როს ბებიას
თალოს გადაკოცნა სურდა,
თალო სახლში აღარ იყო,
თალო სადღაც გაპარულა.

გულში ფიქრობს: „სად წავიდა,
სად წავიდა აგრე ადრე?“
ჩუ! და ესმის, ვიღაც მაგრად
აგრიალებს სკოლის ზარებს...

ჰო - და ხალხმა მოიყარა
თავი სკოლის ეზოს ირგვლივ,
ანტირელიგიურ დილას
აწყობს სკოლის კოლექტივი!!

ბებიაც არ დარჩენილა,
მოჰყოლია ხალხის გროვას;
თალოს მოწოდება ისმის:
„არ არსებობს ქრისტეს შობა!..“

თალოს მოხსენების შემდეგ
წარმოდგენა ჰქუნდათ დიდი!
ორი კვირა მუშაობდენ
ამ ლაშქრობის მოწყობისთვის...

უხარიათ, გაიმარჯვეს,
რომ დაესწროთ ხალხი ბლომად,
ასე, ამგვარად დასრულდა
თალოს გეგმა და ლაშქრობა.

ა. ადამია

ეგნატე ნინოშვილი

დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო.

ᲩᲐᲒᲠᲣᲚᲗ ᲛᲬᲔᲠᲐᲚᲘ.

სამოცდაათჯერ შემოუბინა დღის მნათობს მიწამ, სამოცდაათჯერ ჩამოახია ფურცელი ულმობელმა დრომ საუკუნეთ მას შემდეგ, რაც პირველად შეხედა უაზრო თვალით პაწაწა ბავშვა ფარღალალა ქოხის მცხოვრებლებს, სადაც ზუზუნით შემოჰქონდა ქარს დაბეჩავებულთ კვნესა-ვაება...

ტანჯვა-ვარამი, სიღატაკე, დუხჭირი ხვედრი, ხელზე მოსამსახურეობა, ტელეგრაფისტად ყოფნა, შავი ქვის მრეწველის კანტორაში სამსახური, ნავთის ქარხნის მუშად შესვლა, სოფლად მასწავლებლობა, ტყვიის ასოების მტვრის სუნთქვა სტამბაში და საფრანგეთში ქუჩების დაგვა,—აი მძიმე გზა ტანჯული მწერლის, რომელსაც წილად ხვდა გლეხობის დუხჭირი ცხოვრების სურათის გადმოშლა, უსამართლობის წინააღმდეგ გალაშქრება, ჩაგრულთ გულში იმედის გაღვივება და მჩაგვრელების სახეების დანაოჭება.

ნინოშვილი და ტანჯვა სინონიმებია, ამიტომაც ესოდენ ძლიერად ეხერხებოდა ეგნატეს ირგვლივ გამეფებული უსამართლობა-ჩაგვრის ასახვა. მან პირადად გამოსცადა ბედი მუშისა, შვიდ კაპეიკად რომ შრომობდა დაღამებამდე, მან თვითონ ნახა, განიცადა ხვედრი გლეხისა, თავზარდაცემული რომ კანკალებდა წლითი-წლობამდე, როს თარეშობდა მშრომელთ ზურგზე მწველი მათრახი და ირგვლივ იდგა მუშტმაგარი ძალმომრეობა.

კარგად იცნობდა ეგნატე გურიის სოფელს, კარგად იცოდა ჭირი, ლხინი გლეხკაცობისა, გამჭრიახ მის თვალს არაფერი გამოჰპარვია. მან დაინახა სოფლის გარეგნულ მყუდროებაში სასტიკი ბრძოლა, ინტერესთა შეხლა-შემოხლა, კლასობრივი ბრძოლა, მოსახლეობის დიფერენციაცია, დაინახა, რამდენად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან გარეგნულად ერთნაირი ადამიანნი—და მოგვცა მთელი რიგი ტიპების, თვალწინ დაგვიხატა ათასგვარი გარემოება და პიროვნება. მისი ნაწერები სარკეა წარსული დროების, ესაა უტყუარი ფურცლები მშრომელთ ყოფა-ცხოვრების. იგია გლეხის გულის მესაიდუმლე, იგია მისი დუხჭირი ბედის დამტირებელი, და ამიტომაც ვეწაფებით იმის ნაწერებს, რომ აღვფრთოვანდეთ, განვიმტკიცოთ ბრძოლის წყურვილი, რომ თანავუგრძნოთ მთელი ჩვენი სულით და გულით სიმონ ძალაძეს, დაუდგრომელს, შეუშინებელს, შეუპოვრად რომ იწვევს ბრძოლაში უსამართლობით, ცარცვა-გლეჯით, გაიძვერობით გალაღებულ დავით დროიძეს...

და სიმონადან გადავდივართ მუნჯ კაციაზე, სიზმარშიაც კი რომ ვერ დასთმო მუნჯაძეობა. მათი ლაშქარი ხელს უწყობდა ძალმომრეობას თავისი შიშით, გაჩუმებით, დამორჩილებით. მონა-მორჩილნი ყოველგვარი ძალმომრეობის, მზად რომ არიან ოცდაათჯერ გადატყდენ წელში, როს შეხვდებიან ვინმე „ძლიერს ამა ქვეყნისას“, მუნჯაძეები არ გვარგიან, და ტრფობის თვალი რბის ისევე ძალაძისაკენ...

გული ფუჭ აქვს... გულფუჭაძეც ამიტომ ჰქვიან. მოსე მწერალო, აბა, რამდენი უნათლოშვილი დაგიღუპავს შენს სიცოცხლეში! მათი ცხოვრების და სიცოცხლის განადგურებით აბა რამდენჯერ ავსებულა შენი ოჯახი, რომ ათეულთა, ასეულთა უბედურებით უზრუნველობა და განცხრომა მოგნიჭებოდა! საზიზღარი ხარ, შენ მშრომელი ვერ შეგიყვარებს, ნინოშვილი ხომ ცოფს ანთხევდა შენს ხსენებაზე და გლეხის ტანჯვით გაელია გული, ვით მთვარე...

მუშტმაგარი... გრძელი ხანჯლით... ფართომხარბეჭიანი... სადაც მისი მკლავი გასჭრის, სადაც გაინავარდებს, იქ მართალი ის არის.. ან ვინ შეებრძოლება ამ „ბრწყინვალე“ თავადებს! მუშტძლიერი, მაგრამ თავცალიერი დაფარფაშობს მკლავაძე ტარიელი. პოლიცია მისი ყმა და მონაა: თავადობა ძლიერ დიდი „წონაა“—და თარეშობს ძმაბიჭებით „ვაქკაცი“.

ოჰ, ეგნატე, გულს გიშხამავს ეს „გმირი“ და გიმრავლებს ტანში კოხის ბაცილებს. მაგრამ სახეს გადურბინა ღიმილმა... იქნებ ხედავს ტარიელის მოცილეს?

ეს ვინ არის, პატარა და გამხდარი? სულ არ ახდენს გმირის შთაბეჭდილებას, ნინოშვილი კი იმედით შეცქერის და მკლავაძის ამლაგმველად იმას სთვლის.

რას მიქვიან, აბა, ფართო მხარ-ბეჭი, მცირეშვილო, ასპარეზი შენია! მშრომელთ წრიდან გაძოსულო მშრომელო, ტარიელი ხომ შენი ხვარაკაა. ვით ზღაპრულმა ამირანმა დევები, უნდა მოსპო ჩვენში მკლავაძეები. შენ, ეგნატეს ფალავანო, იმედო, ამას შესძლებ, ეს ხომ უეჭველია.

ქარი ბერავს, ისმის მისი ზუზუნი და თან მოაქვს კვნესა უიშვილების. და უდგება თვალწინ ტანჯულ ეგნატეს მისი სულის ალმაშფოთი სურათი: შევერცხლილ თმას სისხლი გადანთხევია... შებოჭილი მოჰყავთ „გამარჯვებულებს“ მეამბოხე, „საშიშარი“ გოგია. ზიმშილ-წყურვილს ვერ გაუძლო საბრალომ... მწვავე იყო, მეტად მწვავე მათრახი... განთიადის ცივსა ჰაერს მიაპობს თოფისა ხმა—აღარ არის გოგია...

ნინოშვილო, სახე რამ დაგიღარა!—გტანჯავს, ტანჯულს, ტანჯულების სვე-ბედი! იცი, რომ სოფლად ნაწამები თუ არს გლეხობა, ქალაქში მუშებს სულსა ხდიან კაპიტალისტნი, და ეტრფი მუშათა მოძრაობის გაჩაღებას, ცხოვრების ძირ-ფესვიანად გადატრიალებას. შენი რევოლუციონური სული ბორგავს, ცეცხლოვანი თვალები ელავს და ბაგე აფრქვევს:

„მუშათა კლასი!—აი ვინ ყოფილა ქვეყნიერებისა და ცხოვრების ჩარხის მატრიალებელი!

მუშათა მოძრაობა!—აი ამ ჩარხის ბრუნვა! ერთი თუ ჩვენშიაც დატრიალდა ეს ჩარხი, თუ ჩვენშიაც გაჩაღდება მუშათა მოძრაობა, მაშინ ჩვენი ცხოვრებაც ძირ-ფესვიანად გადატრიალდება“.

რევოლუციონური ცეცხლი ჩაეგზნო გულში ჩაგრულთა მწერალს: **მომავალ მაისში ბათომის მუშები „პირველ მაისობაზე“ სადემონსტრაციოდ თუ არ გამოვიყვანო, ერთ წამსაც ნულარ ვიცოცხლებ!..“**

ასე იბრძოდა, ასე ცხოვრობდა ნინოშვილი, რომლის ხსოვნას მტკიცე ტახტი აქვს დადგმული მშრომელთა გულში, რომლის ნაწერებზე იზრდება ახალი თაობა და სწავლობს ყოველი სახის უსამართლობის საშინელ ზიზღს, თავდადებული ძალაძეების სიყვარულს, მუშათა კლასის იდეალებისათვის ბრძოლას ქვეყნიერებაზე შრომის სუფევის დამყარებისთვის.

ოცდათხუთმეტჯერ შემოურბინა დღის მნათობს მიწამ, ოცდათხუთმეტჯერ ჩამოახია ფურცელი ულმობელმა დრომ საუკუნეთ მას შემდეგ, რაც სამუდამოდ გაჩერდა გული, მუშათა კლასის სიყვარულით ესდენ გამთბარი.

შ. თ—ლი.

ოსკა

— ვინა ხარ! რა გატირებს?—შეეკითხა მილიციონერი ქუჩაში ტირილით მიმავალ ბავშს. მაგრამ უკანასკნელს არ ესმოდა მილიციონერის სიტყვები და ტირილითვე განაგრძობდა გზას.

მას არ ესმოდა ტრამვაისა და ეტლების ხმაურიც.

— ვინა ხარ, პატარავ, რა გატირებს, არ იტყვი?— განმეორებით შეეკითხა ბავშის მდგომარეობის გაგებით დაინტერესებული მილიციონერი და ზურგზე ხელი დაადო.

ბავში მილიციონერის დანახვით სწრაფად შეკრთა, ტირილს უკლო და გაქცევა დააპირა.

— ნუ გეშინია, პატარავ, მე არაფერს გავნებ,— დამშვიდება დაუწყო მილიციონერმა შემკრთალ ბავშს.



ჟურ. „პიონერის“ ნაპირების ჩამოკრა

— რა გქვია? — წყნარი ხმით შეეკითხა მილიციონერი.

— მე... ოსკა,— გაისმა ბავშის მკრთალი ხმა.

— ვისი შვილი ხარ?

— შენ ვერ იცნობ მამაჩემს. ის არც მე მახსოვს, დიდი ხანია მომკვდარა. ებრაელი იყო.—დაწყნარებული და გარკვეული ხმით უპასუხა ბავშმა და ცრემლებში გაბანილი თვალები მიაპყრო მის წინ მდგომ წითელ-ქუდიან კაცს, რომელსაც მილიციონერს ეძახიან.

— რათ ტირი, ჩემო პატარავ! — ტკბილი და მეგობრული ხმით მოესმა კითხვა ბავშს.

— რათა და....—თვალებიდან გადმოდინარმა ცრემლებმა შეაწვეტინა ბავშს სიტყვები.

— ნუ ტირი, ნუ ტირი, ჩემო პატარავ. მიამბე ყველა შენი ამბავი და რაც შეიძლება დაგეხმარები.

უკანასკნელმა სიტყვებმა ძლიერ იმოქმედა ოსკაზე.მის სახეს სიხარულის ელფერი გადაეკრა და როგორც ახლად გაღვიძებულმა, ისე გადაისვა ხელები ცრემლებით სველ თვალებზე. მან ჯერ მის წინ მდგომს მიაპყრო თვალები და შემდეგ ძირს დახარა თავი.

— მითხარი, მითხარი, ჩემო პატარავ, რათ ტირი?!.

— რათა და ხაზეინმა დამითხოვა გუშინ. ახლა რა ვქნა, სად წავიდე, როგორ მოვიქცე, არ ვიცი. ასე უპატრონოდ დავდივარ ქუჩებში. ბევრი ვეხვეწე ხაზეინს, მაგრამ ფეხიც არ შემაკარებინა სახლში.—დაგვიანებით უპასუხა ბავშმა.

— მერე და ვინ არის ის ხაზეინი?

— შენ ვერ იცნობ. ვაჭარია, ებრაელი.

— შენი ნათესავია?

— დიახ, მაგრამ შორეული.

— კარგი და, როგორ მოხვდი იმის ხელში?

— ეგ არც მე ვიცი,—უპასუხა ცივი ხმით.

— სთქვი, სთქვი, როგორც იცი, ჩემო პატარავ.

— არც მე ვიცი კარგად, როდის და როგორ მოვხვდი მასთან. მაგრამ, როგორც გაგებული მაქვს, მე პატარა ვყოფილვარ, როცა დედ-მამა დამხოცია. დავრჩენილვართ მე და ჩემი უფროსი ძმა, რომელიც მარჩენდა. ის ერთხელ გასულა სახლიდან და მერე არავის არ უნახავს. თურმე ის და მისი სხვა კომუნისტი ამხანაგები წაეყვანათ სადღაც მენშევიკებს და დაკარგულან. მე მაშინ ძლიერ პატარა ვყოფილვარ. შიმშილით რომ არ მოვმკვდარიყავ, ჩემს ხაზეინს, როგორც ნათესავს, წაუყვანივარ მოსამსახურედ. გუშინ კი, არ ვიცი რისთვის, მაგრად გამროზგა და მუქარით კარში გამომაგდო. ნეტავ ვიცოდე, რა დავუშავე. დილიდან საღამომდე მოსვენება არ მქონდა. რასაც მიბრძანებდენ, ყველაფერს ვასრულებდი. მცემდენ, მტანჯავდენ, მაგრამ მე ხმასაც არ ვიღებდი. რა, დავუშავე, რა!—აქ ცრემლები მოუვიდა, მაგრამ თავი შეიკავა, ერთი მაგრად ამოიხვნეშა და განაგრძო:—გუშინ გამომაგდეს, წუხელ ქუჩაში მეძინა, გუშინ დილიდან ჩემს პირში არაფერი არ ჩასულა. რა ვქნა, არ ვიცი. სიმშილს გავუძლო თუ უბინობას. ვიცი, ასეთი მდგომარეობით სიკვდილი არ არის ჩემი შემბრალე. რადგან უპატრონო ვარ, ამიტომ? ყველას ვეჯავრები. რათა?! რათა?! რადგან დედ-მამა არა მყავს? რადგან დახეული ტანსაცმელი მაცვია, ამიტომ? აქ ვეღარ შეიკავა თავი და ცხარე ცრემლები გადმოედინა ლოყებზე. ამის გამგონე მილიციონერის გულში სიბრალულის გრძნობა გაღვივდა.

მან წაიყვანა ოსკა სასადილოში, გააძღო. ჭამის შემდეგ ბავში გამოჰყვა კარში მილიციონერს..

ამ დროს მოისმოდა სიმღერის ხმა, რომელიც ბავშების ხმას ჰგავდა, ელექტრონი ანათებდა ქუჩებს. მოწმენდილ ცაზე ეკიდა ფერმკრთალი და დაღვრემილი მთვარის ნაგლეჯი. ტრამვაისა და ეტლების ხმაური აყრუებდა ქუჩას. მილიციონერი და ოსკა იდგენ სვეტის წინ. სვეტზე ჩიტივით მჯდარი ელექტროლამპა მხიარული და მომღიმარი თვალებით დაყურებდა მათ. ბავშების მხიარული სიმღერა თანდათანობით ახლოვდებოდა.

მილიციონერი და ოსკა ისე განაბულნი იდგენ, რომ გეგონებოდათ ვიღაცას მოლოდინში არიანო.

ბავშების სიმღერა სიახლოვის გამო გარკვეულ სახეს ღებულობდა.

მილიციონერმა იცოდა, რომ ის ბავშები უპატრონონი იყვნენ, რადგან მათი ხელმძღვანელები მათ ყოველ საღამოთი ატარებდენ იმ ქუჩაზე. აი, გამოჩნდა ბავშთა გუნდი მხიარული სიმღერით. მათ მოჰყვებოდა სამი დედაკაცი. მილიციონერმა შეაჩერა ხელმძღვანელები და დაუწყო ოსკაზე ლაპარაკი. ხელმძღვანელების განკარგულებისთანავე შეჩერდა კოლექტივიც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომას თხოვნა

ნულარ ითვრები, მამილო,
თუ გიყვარს შენი თომარ,
ნუ უჯავრდები დედიკოს,
ეს არის ჩემი თხოვნაო!

გული მიკვდება, როდესაც
დედასა ვხედავ მტირალსა,
შრომით დაღლილი შენ გიცდის,
ღამეს ათენებს ტიალსა!

წიგნი არა მაქვს, რვეულის
ფული მოიტა შინაო,
შენი შრომით და ამაგით
ახარე ჩვენი ბინაო,

ღვინო გაშორებს ჩვენს თავსა.
ნუთუ ეს არა გჯერაო,
თუმცა მიყვარხარ, მაგრამ მთვრალს
ვერ გეკარები, ვერაო.

ნულარ ითვრები, მამილო,
ამას გთხოვს შენი თომაო,
ყელს მოგეხვევი, დაგკოცნი
თუ შემისრულე თხოვნაო!..

ი. ჭარელიშვილი

ოსკამ შეხედა რიგში ჩამდგარ ბავშებს და გაიფიქრა „რა ბედნიერი ვიქნები, მეც რომ მათში ვიყო“. ის ხედავს, რომ მათ ყველას ერთნაირი ტანსაცმელი აცვია, გულზე ყველას წითელი ბანტი აკერია, მას კი, ფეხშიშველას, მხოლოდ დახეული ტანსაცმელი უფარავს სხეულს.



„პიონერი“ მზად არის

ბავშებმა შეხედეს ოსკას და ხელის ქნევით აცნობეს, რომ უკანასკნელი მათთან მისულიყო, მაგრამ ოსკას შეეშინდა მათი და უცბად გაშორდა. მილიციონერმა, შენიშნა რა ოსკას წასვლა, მიიყვანა იგი იმ ქალებთან, რომლებიც ზრდიან ოსკასებურ უპატრონო ბავშებს.

— რა გქვია, ბავშო? — ტკბილი ხმით შეეკითხა ერთი ხელმძღვანელთაგანი.

— ოსკა, — მკრთალი ხმით უპასუხა ოსკამ.

— ოსკა, ოსკა, ჩვენი ოსკა, პატარა ოსკა, — მიუალერსა მან. ოსკა ასეთი არაჩვეულებრივი, დედისებური ალერსით ჯერ დაიბნა, შემდეგ სახე მაისის ცასავით მოეწმინდა და გაბრწყინებული თვალები ჯერ ხელმძღვანელებს მიაპყრო და მერე მილიციონერს.

— ოსკა, ხომ წამოხვალ ჩვენთან? აი, ამ ბავშებთან იქნები. ასეთ ტანსაცმელს ჩაგაცმევთ, კარგად გკვებავთ და წერა-კითხვასაც გასწავლით, — შეეკითხენ ოსკას.

ოსკამ მხიარულებით მისი გულის პასუხი ვერ გაითქვა და თვალებით აცნობა მათ.

— აი, ბავშებო, დღეის შემდეგ ესეც თქვენი მეგობარი იქნება. — გამოუცხადა ბავშებს ხელმძღვანელმა და ოსკაზე მიუთითა.

ბავშებმა მხიარულება ჟრიამულით გამოხატეს და ყველა ახალი ამხანაგისაკენ მიიწევდა.

— ჩვენც შენისთანა დღეში ვიყავით. შენც ასეთებს ჩაგაცმევენ. — ეუბნებოდენ ბავშები ოსკას.

ოსკას კი თავი სიზმარში ეგონა და სიხარულით ხმას ვერ იღებდა.

მეორე დღეს ოსკა სხვა უპატრონო ბავშებთან ერთად საუბრობდა თავის თავგადასავალზე.

ის მთლად გამოიცვალა და დაემსგავსა იმ ბავშებს, რომლებსაც იგი გუშინ შენატროდა.

იაკოფ ჯინჯიხაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოზარდ მაყურებელთა თეატრი

„ᲔᲨᲛᲐᲙᲘ“

ტფილისის პიონერებო, ესწრებით თუ არა დადგმებს მოზარდ მაყურებელთა თეატრში? საჭირო და სასურველია ყველამ ნახოთ ეს შესანიშნავი დადგმები. აი, ამ წერილში მინდა თქვენ და თქვენს პროვინციელ ამხანაგებს გაგაცნოთ ერთ-ერთი პიესის შესრულება მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

„ᲔᲨᲛᲐᲙᲘ“ ლამაზი ანტირელიგიური პიესაა, დიდი ხანია უკვე იდგმება მოზ. მაყ. თეატრის სცენაზე და ახლაც მრავალი დამსწრე ჰყავს.

რელიგიური ნაშთები, მორწმუნენი, რომლებიც თითო-ოროლა დარჩენილან, და მღვდელ-დიაკონები ჯერ კიდევ შემოტევას აწარმოებენ ჩვენს წინააღმდეგ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ არ დაჰკარგონ მათი გავლენის ქვეშ მყოფი შეუგნებელი ხალხი და მოტყუებით შემოიკრიბონ ახალი წევრები. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ მუდამ ვებრძოდით მათ, ვებრძვით დღესაც შეუნელებლად და არ მივცემთ შავი მიზნების განხორციელების საშუალებას. უკვე შეიგნეს მუშათა და გლეხთა მასებმა მათი სარწმუნოებრივი მოძღვრების ყალთაბანდური სახე და დაჰგმეს იგი.

დარჩა სამღვდელოება უმრავლოდ. მორწმუნე ხალხი აღარ ჰყავს, მაგრამ მას არ დაუყრია ფარ-ხმალი და განაგრძობს შეუგნებელი ხალხის მოტყუებას. ჩვენ გვახსოვს ერთ-ერთ ეკლესიაში გამართული საღამო, სადაც დაიდგა კომკავშირის საწინააღმდეგო პიესა, სადაც კომკავშირელები გამოჰყავდათ ხულიგნებად, ლოთებად და სხვ. ასეთი გადაგვარებული ხალხის, სამღვდელოებისა და რელიგიის წინააღმდეგ არის დაწერილი პიესა „ᲔᲨᲛᲐᲙᲘ“— აკ. კერესელიძის.

აი, ვუცქიროთ ამ პიესას თეატრის სცენაზე:

პატარა ლეო ულარიბესი ოჯახის შვილია. სილარიბესთან ერთად მას სტანჯავს ლოთი მამა და ღვთისმორწმუნე მშობლები. დედა აიძულებს ილოცოს ხატზე, როცა ლეოს ღმერთებისა და ხატების არაფერი სჯერა, რადგანაც მათგან მონაცემი არაფერი უნახავს. მას გულით სწყურია სწავლა, მუშაობს ასოების ამოკითხვისათვის, მაგრამ ვინ დაეხმარება? დედამ არ იცის კითხვა და მამა მუდამ ღვინითაა გალეშილი.

მღვდლის „სკოლაში“ მთავარი „საგანი“ ანტისაბჭოთა კამპანია; იქ ასწავლიან, როგორი უნდა იყოს მორწმუნე, იქ ასწავლიან ღმერთებზე, სასწაულებზე და, რაც მთავარია, კომკავშირზე და პიონერორგანიზაციებზე, მაგრამ როგორ?

აი, უსმინეთ:

კომკავშირელები ლოთები არიან,
კომკავშირელები ხულიგნები არიან,
პიონერები პაპიროსს ეწევიან.

და სხვა მრავალი ისეთი ცილისწამება და პროვოკაცია, რომლის გაგონებაზეც ალბათ თქვენ უდიდეს შეურაცხყოფილად იგრძნობთ თავს და შესაფერად უპასუხებთ ცილისმწამებლებს.

პატარა ამხანაგი რეზო პიონერია, რეზოს მამა ქარხანაში მუშაობს, ღვინოს არ სვამს და ლოცვაც ხომ სასაცილოდ მიაჩნია. რეზო ხშირად შემოდის ლეოსთან, უხსნის ანბანს და მასაც სიცილად არ ჰყოფნის ის ამბავი, რომ დედ-მამა ლეოს საყდარში მიბარებას უპირებს სასწავლად. მორწმუნე მშობლები შეაცდინა მღვდელმა და მათაც გადასწყვიტეს მღვდლის „სკოლაში“ გაეშვათ ლეო. რეზო ყოველ ნახვისას უხსნის ლეოს სარწმუნოების მავნებლობას და ჩააგონებს მას იბრძოლოს მღვდლისა და ეკლესიის წინააღმდეგ, გახდეს პიონერი და შევიდეს შრომის სკოლაში. ლეო აღფრთოვანებულია რეზოს დარიგებით და გადასწყვეტს უარყოს მღვდლისა და მშობლების წინადადება და ებრძოლოს მათ. ბოლოს და ბოლოს მამისაგან ნაცემ-ნაბეგვი ლეო საყდარში მოხვდება მღვდელთან. მღვდელი თავისებურ ჭკუას ასწავლის მას, მაგრამ ლეო ჭკვის და სიტყვასაც არ უსმენს. მღვდელს, რასაკვირველია, არ მოსწონს ლეოს მოქმედება და დღევანდელი საბჭოთა ბავშვებიც და მოწაფეებს უამბობს ამბავს თავის ბავშობისა და აღზრდის შესახებ. ამბავი ასეთია:

განებივრებული ბავში ჩაცმული გორაობს, მდიდრის შვილია. თავზე ადგას სათვალებიანი „ჩინოვნიკი“ მასწავლებელი და ოფლის ღვრით ჩასჩიჩინებს არითმეტიკაში ოთხი მოქმედების კანონებს, ბავშიც მექანიკურად, შეუგნებლად იმეორებს იმას, რასაც მასწავლებელი იტყვის. ნებიერი ბავში ტყუილ-უბრალოდ აიტეხს ტირილს; ბავშის ხმაზე შემოვარდება გაბრაზებული დედა და საშინლად დასტუქსავს მასწავლებელს, რომელმაც „ააღელვა მისი სულიკო“. მასწავლებელს არა აქვს სიტყვის შებრუნების უფლება (და კიდეც რომ შეუბრუნოს, ჭკვიანურს ვერაფერს იტყვის). დედის შემოსვლაზე ბავში კიდევ უფრო უმატებს ღრიალს და თავის მხრივ ესეც სტუქსავს მასწავლებელს. უეცრად პატარამ ოთახში ბუზი დაინახა. მონდომებულმა მასწავლებელმა ვერ დაუჭირა, ვერ დაიჭირა დედამაც და მაშინ გამოძახებულ იქნა მთელი შემადგენლობა ხელზე მოსამსახურეთა და მოჯამაგირეებისა, რომლებმაც დიდი

„ბრძოლისა“ და შრომის შემდეგ მიაღწიეს მიზანს, შეერთებული ძალით დაიჭირეს პატარა მწერი. ბავში მაინც ტირის უზნეოდ და იძლევა წინადადებას გადაუწყვიტონ ბუზს სასჯელი. მრავალგვარი „საშუალება“ იქნა მასწავლებლის და დამსწრე „საზოგადოების“ მიერ გამონახული ბუზის დასასჯელად, მაგრამ ნებიერმა ბავშმა არცერთი არ მოიწონა. ბოლოს და ბოლოს მან თვითონ გამოსძებნა საშვალება და სათამაშო თოფით დახვრიტა იგი. დედამ ბავში დააწყნარა, შეიბრალა, როგორც „სწავლით ძლიერ დაღლილი“ და სათამაშოდ ეზოში გაუშვა.



“პიონერს“ კითხულობს

პატარა ამხანაგებო, ძალიან კარგი იქნება თქვენ თვითონ უცქიროთ ამ სცენას, თქვენ იქ ნახავთ როგორ იზრდებოდენ წინათ ბავშები, როგორ სძულდათ შრომა და სწავლა, როგორ ანებივრებდენ მათ მშობლები, და მაშინ თვითონ გამოიყვანეთ დასკვნას, თუ როგორი ხალხი უნდა გამოსულიყო ამგვარად აღზრდილი ბავშებისაგან.

მე მაინც გეტყვით, რა გამოდიოდა იმათგან.

აი რა სიმბოლოა დახატული სცენაზე: ოთახს, რომელშიაც ასწავლიან ამ ბავშს, რასაკვირველია, აქვს ჭერი და სახურავი, მაგრამ მიაქციეთ ყურადღება: სახურავს ზემოთ ჩანს საყდარი თავისი მძიმე გუმბათებითა და ჯვრებით.

მშვენიერი სიმბოლოა! ამ ოთახში ნებიერად გაზრდილი ბავში შემდეგ ხდება საყდრის მსახური, მღვდელი, დიაკვანი, ღვთისმორწმუნე და სხვ. ამგვარად აღზრდილი ბავში, თქვენც მიხვდებით, ვერაფერ საზოგადოებრივ სამსახურს ვერ შესძლებს, პირიქით, იგი დააწვება მძიმე ბარგად საზოგადოებას. ასეთები ერეკებიან საზოგადოებას რელიგიისა და ბოროტების წყვდიადისაკენ და უჭრიან მას წინსვლისა და განვითარების ბილიკებს.

ასე გაიზარდა მღვდელი, რომლის ხელშიც ჩავარდა ჩვენი პატარა ლეო.

მღვდელს ჯერ კიდევ არ დაესრულებია ამ ამბის მოყოლა, რომ ფეხზე წამოიჭრა ლეო, ამხილა მოწაფეთა წინაშე მღვდლის ნამდვილი სახე და მოუწოდა მათ პიონერ-კოლექტივებისა და შრომის სკოლისაკენ. ერთბაშად ყველამ იბრუნა პირი მღვდლისაგან.

აქედან იწყება იმ ვერაგული გეგმის განხორციელების ცდა, რომელიც შეადგინეს მღვდელმა და დიაკვანმა.

დაბრუნებულ ლეოს ყოველ წუთს სცემს ლოთი მამა, მაგრამ იგი არასგზით არ მიდის ისევ საყდარში.

უეცრად ოთახში მარტოდ დარჩენილ ლეოს გამოეცხადება „ეშმაკი“. იგი აჯერებს ლეოს, რომ ჩვენს მშენებლობას სოციალიზმისაკენ კი არ მიჰყავს ხალხი, არამედ რაღაც „ჯოჯოხეთისაკენ“ და მოუწოდებს ლეოს დაუბრუნდეს საყდარს. იგი გადის.

ოთახში შემოდის რეზო. შეშინებული ლეო უამბობს მდგომარეობას; რეზო იცინის და გადასწყვეტს ახსნას „ეშმაკის“ საიდუმლოება. როცა „ეშმაკი“ მეორედ შემოვა ლეოსთან, რეზო ჩუმად შემოიყვანს პიონერთა რაზმს, დაიჭერენ „ეშმაკს“, ახდიან ნიღაბს და ხელში შერჩებათ საყდრის დიაკვანი. აქ ეხდება ფარდა საიდუმლოებას, ლეოს დედამამაც დარწმუნდა მღვდელ-დიაკვნის ვერაგობაში, ჰგმობენ მათ და ლეოს უშვებენ შრომის სკოლასა და პიონერ-კოლექტივში.

ლეო სკოლაში იმდენად განვითარდა, რომ მას აკისრებენ კულტ-მუშაკის მოვალეობას. ლეოც მშვენიერად ხსნის ჩვენს მიღწევებს ბავშების კრებებზე.

დასასრულ ერთ-ერთ ლაშქრობაზე გამოსულ ლეოსა და მის ამხანაგებს გზად შეეჩეხებიან მღვდელ-დიაკვანი, რომლებიც შიშით სადღაც გადაიკარგებიან.

ასე ეღება ბოლო ჩვენი კომკავშირელებისა და პიონერების ენერგიული მუშაობით ყოველგვარ უვიცობას.

ასეთია პიესა „ეშმაკის“-ს მოკლე შინაარსი და დადგმა მოზარდ მაყურებელთა თეატრში.

ამ პიესას შესანიშნავი დეკორაციები აქვს, რაც ძალიან კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს.

კარგად თამაშობენ მსახიობებიც და, რაც მთავარია, პიესის დადგმაში გამოყენებულია კინო. იარეთ მოზარდ მაყურებელთა თეატრში, ნახეთ პიესა „ეშმაკი“.

ირ. აბაშიძე.

„ნორჩი ლენინელი“

(ლენრაიონის ნორჩ პიონერთა და მოსწავლეთა ერთ-დღიური გაზეთი, მიძღვნილი ოქტომბრის რევოლუციის 12 წლის თავისადმი)

ჩვენს ქვეყანაში თორმეტჯერ ვიდღესასწაულეთ ოქ-ტომბრის რევოლუციის დღე. კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მასებს ამ დღესასწაულის ჩატარება სისხლის ფა-სად უჯდებათ. მაგრამ ისინი მაინც განუწყვეტლად იბრძვიან, რომ დაამსხვრიონ ბურჟუების ბატონობა. მსო-ფლიო რევოლუციის მოხდენამდე ჩვენ ის-ღა დაგვრჩენია, რომ ენერგიული დახმარება გავუწიოთ კაპიტალისტების ციხეებში ჩამწყვდეულ და ტერორის ქვეშ დაყენებულ მუშებს, დავეხმაროთ მთელი ქვეყნის პიონერებს და გავუ-გზავნოთ სალამი ისე, როგორც ლენრაიონის პიონერებმა ამ გაზეთით („ნორჩი ლენინელი“) მიაწვდინეს მსოფლი-ოში დაჩაგრულ ბავშვებს: **„საბჭოთა ქვეყნის პიონერები მეთორმეტეჯერ უძღვნიან სალამს მთელი ქვეყნიერების პიონერებს“.**

პიონერული სალამი ოქტომბრის რევოლუციის 12 წლის თავს—ეს მხოლოდ სიტყვა კი არ არის, არამედ ეს არის შრომა ინდუსტრიალიზაციის სასარგებლოდ. პი-ონერები აგროვებენ ლითონის ნამტვრევებს, ეხმარებიან შეფს, ავრცელებენ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლი-გაციებს, ეხმარებიან უპატრონო ბავშვებს, წერა-კითხვის უცოდინარობას ებრძვიან, უწევენ დახმარებას გლეხებს მინდვრებში და სხვა. აი რას გვიამბობს ეს გაზეთი.

პიონერთა ყოფა-ცხოვრების საკითხებზე ამ გაზეთში სწერენ პიონერები; აი, მაგალითად, როგორ ცხოვრობს ინტერნატის კოლექტივი № 36. „ინტერნატის მცხოვ-რებთა ყოფა-ცხოვრებას ხელმძღვანელობს პიონერთა კო-ლექტივის საბჭო; ინტერნატში შემოღებულია პიონერე-ბის მორიგეობა, ეწევიან თვითშრომას“. აქ არის მრავალი სახის წრე: ჭადრაკის, ლიტერატურული, სამხედრო, ხელ-ბურთის და სხვ. ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხზე 60 მანეთის რაოდენობით მოუწერიათ ხელი და აპირებენ ეს თანხა 100 მანეთამდე აიყვანონ. გარდა ამისა, ამ კო-ლექტივს აქვს თავისი ტკივილები, აკლია ზოგიერთი რამ, რასაც ალბათ მალე მოაგვარებს რკინის გზის სექცია და უბკავშირი,

ასეთივე შინაარსის წერილია რკინის გზის მე-8 სკოლის მე-32 პიონერ-კოლექტივის შესახებაც. ამ წერი-ლებით გამოაშკარავებულია, თუ რამდენად არიან და-ინტერესებული პიონერები საზოგადოებრივ-სასარ-გებლო მუშაობით. რასაკვირველია, ადგილებზე პიონერ-კოლექტივების მუშაობას დახმარებას უწევენ პარტიისა და კომკავშირის უჯრედები.

არის შემთხვევები, როცა შეფი ყურადღებას არ აქ-ცევს პიონერ-კოლექტივებს. მაგალითად: ამ გაზეთში და-ბეჭდილია წერილი, სადაც აღნიშნულია, რომ მე-32 პი-ონერ-კოლექტივს სრულიად არ ეხმარება შეფი—მიწსახ-კომის ცხენთსაშენი; მართლაც, როგორც წერილშია აღ-ნიშნული, ალბათ მათ არ წაუკითხავთ საკავშირო კ. პ. [ბ] ცეკას და ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის და-დგენილება, პიონერ-ორგანიზაციისთვის დახმარების აღმოჩენის შესახებ.

გაზეთში მოთავსებულია ლამაზი წერილი „როგორ გავატარე ზაფხულის არდადეგები ნორჩ პიონერთა ბანაკ-ში“. აქ არის ნორჩი პიონერის მოგონება ქვიშხეთის სა-ზაფხულო ბანაკის ცხოვრებაზე. საზაფხულო დასვენება ჯანსაღობისათვის აუცილებელი პირობაა, ამიტომ ჩვენი ხელისუფლება ყოველ ზაფხულს გზავნის პიონერებს და-სასვენებელ ბანაკებში. ქვიშხეთში ამ ზაფხულს მრავალმა პიონერმა ისარგებლა ბუნების სიმდიდრით. წამოსვლისას მათ დაათვალიერეს ბორჯომი, ბაკურიანი, ცემი, წაღვე-რი და სხვა ჩვენი აგარაკები. გაზეთში დაბეჭდილია პი-ონერთა ლექსები ოქტომბრის რევოლუციის 12 წლის თა-ვის შესახებ და ჩვენი მტრების წინააღმდეგ.

„ნორჩი ლენინელი“-ს მესამე და მეოთხე გვერდზე მოთავსებულია წერილები რუსულ ენაზე. ეს წერილებიც ეხება პიონერთა ცხოვრებას, ოქტომბრის რევოლუციის 12 წლის თავს, სოციალისტურ მშენებლობას, შეჯიბრე-ბას, ხუთწლიან გეგმას და სხვ.

იანი.

პიონერებო!

არ დაგავიწყდესთ

თქვენივე ჟურ. „პიონერის“ გამოწერა

1930 წლისათვის!

ტფილისის მუშები, მუშა კომკავშირელები და პიონერები „შობის“ დღეებში

მოახლოვდა ოცდახუთი დეკემბერი — „შობის“ დღე...

რელიგიის მქადაგებელნი დაფაცურდენ! ტფილისის ეკლესიების ზარები ახმაურდა, მაგრამ ამაოდ...

მღვდლები, ბერები და მონაზონები დაბორიალობენ და დიდ სამზადისში არიან, რომ მათთვის დიადი და ნეტარმოსაგონებელი დღესასწაული „ქრისტეს შობა“ სახელოვანად იზეიმონ... ეს ხდება ეკლესიაში და მის გალავნებში.

ტფილისის მუშათა უბნებიდან ისმის საყვირების განუწყვეტელი კივილი. ქარხნის მილებიდან ამოსული კვამლი უხვად ეფინება ქუჩებს და მუშათა სასახლეებს.

ქარხნებში და სკოლებში იმართება მფრინავი (სახელდახელო) მიტინგები და საუბრები ანტირელიგიურ საკითხებზე. კომკავშირელებს მედგრად უჭერენ მხარს პიონერები, რომლებიც ყოველგვარი საშუალების ხმარებას ითვალისწინებენ, რომ შობის დღეს არც ერთი მშრომელი არ მოსცდეს სამუშაოს, დაზგებს, მანქანებს და ქეიფის ნაცვლად მღვდლების და მატყუარა ცრუმორწმუნეთა დღესასწაულის დღეს, შობას, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის კულტურული აყვავებისა და აღორძინების საქმეს კიდევ ერთი აგური დაუმატოს.

ერთ-ერთი დიდი მფრინავი მიტინგი გაიმართა მთავარ სახელოსნოში (ტფილისში უდიდესი წარმოებაა); მიტინგზე თამამად გამოდიოდენ მუშები და ზიზღს აცხადებდენ ცრუმორწმუნეობისა და ყოველგვარი სიბნელის წინააღმდეგ. მუშების შემდეგ ილაპარაკეს ახალგაზრდა მუშა-კომკავშირელებმა. ისინი მეტის აღელვებით ლაპარაკობდენ მატყუარა მღვდლების და მათ ძიმდევართა ოინებზე.

და ყველა დამსწრეს გაუკვირდა, როცა ტრიბუნაზე გამოჩნდა პიონერი, რომელმაც ასე დაიწყო: „მამებო და უფროსო ძმებო! ჩვენ არ გვწამს არავითარი ქრისტე და ხატი არ გვეშინია მღვდლების და ბერების დამუქრების. ჩვენი კოლექტივი 25 და 26 დეკემბერს, შობის დღეს, დასვენების ნაცვლად აწყობს ანტირელიგიურ ლაშქრობას, ჩვენს კლუბში გავაკრავთ პლაკატებს და მოწოდებებს. იქნება მოხსენება და წარმოდგენა“... „ვაშა, ვაშა“ ისმოდა ყოველი მხრიდან და ცოტა ხნის შემდეგ ტრიბუნაზე ასული მუშა კითხულობდა შემდეგი სახის დადგენილებას:

„ჩვენ, ტფილისის მთავარ სახელოსნოს მუშები, 25 და 26 დეკემბერს, ცრუმორწმუნეთა დღესასწაულის დღეს, დასვენებისა და უმიზნოდ დროის დაკარგვის ნაცვლად ვიმუშავებთ ჩვეულებრივად და ერთი დღის ხელფასს ვდებთ ინდუსტრიალიზაციის ფონდის გასაძლიერებლად. არც ერთი საათის დაკარგვა უმიზეზოდ! ამ დღეს ყველანი დაზგებთან და მანქანებთან! დეე, კვლავ აგრიალდენ ეკლესიის ზარები, ხოლო არცერთი ჩვენთაგანი იქ, ეკლესიაში, ქრისტეს სათაყვანებლად არ მივა, რითაც ერთხელ კიდევ დაუვმტკიცებთ ჩვენს მტრებს, რომ ჩვენ მათი გავლენის ქვეშ არ ვიმყოფებით! მთავარი ხელოსნოს მუშები ამ მიზნით ვიწვევთ ტფილისის ყველა წარმოების მუშებს“.

არც სკოლები იყვნენ გულზე ხელდაკრეფილნი

პიონერებმა და კომკავშირელებმა ადრევე დაიწყეს სამზადისი ანტირელიგიური კამპანიის ჩასატარებლად. მთელ რიგ სკოლებში მოაწყვეს საუბრები და საღამოები.

პიონერთა კოლექტივები არაჩვეულებრივად მოქმედებდენ. მათ საკუთარი გეგმა ჰქონდათ და ყველაფერს გეგმაშეწონილად ასრულებდენ.

ოცდახუთი დეკემბრისათვის წინასწარ დაამზადეს სათანადო პლაკატები და კედლის გაზეთის განსაკუთრებული ნომრები, მაგრამ პიონერები მარტო სკოლის სამუშაოთი არ კმაყოფილდებოდენ. ისინი მიდიოდენ ქარხნებსა და ფაბრიკებში, ეხმარებოდენ მუშებს მფრინავი მიტინგების და საუბრების ჩატარებაში. ქარხნის მუშების კლუბისთვის ხატავდენ ლოზუნგებს, ამზადებდენ მოწოდებებს, პლაკატებს და კედლის გაზეთებს.

ასე მიმდინარეობდა სამზადისი ქარხნებში, ფაბრიკაში, დაწესებულებებსა და სკოლებში.

გათენდა ოცდახუთი დეკემბერი.

წინა ღამით გრიალებდა ეკლესიის ზარები.

დილაადრიან ქროდა დეკემბრის სუსხიანი ქარი და ქუჩებში თოვლჭყაპი იდგა. ეკლესია ელოდა სტუმრებს, მაგრამ ამაოდ... არცერთი მუშა კომკავშირელი და პიონერი ეკლესიის გალავნებს არ მიკარებია. ეკლესიის ირგვლივ იყო დუმილი და სიმარტოვე. სხვაგან კი, შრომის უბნებში, ისმოდა საყვირების ძახილი, და ამ დღეს ჩვეულებრივად ტრიალებდა დაზგები და მოძრაობდა მანქანები. იყო საერთო შრომა და საერთო სიხარული.

სკოლებში პიონერთა კოლექტივების ხელმძღვანელობით იმართებოდა საბავშო, ანტირელიგიური ხასიათის, დილები. წარმოდგენისა და მოხსენების შემდეგ პიონერები ლექსებს კითხულობდენ. სკოლის შენობა მორთული იყო საამდღეო პლაკატებით და წითელი დროშებით.

უკვე ოთხი საათია და მუშაობის დრო გათავდა, მაგრამ ხმაურობა და მოძრაობა მაინც არ ნელდება. და უცებ განაპირა უბნებიდან მოემართება მუშათა რიგი, მათ უკან კომკავშირელები და პიონერები მოჰყვებიან. ისმის მუსიკის ხმა და მასთან შეწყობილი მუშათა სიმღერა. პიონერებს მოაქვთ პლაკატები, რომლებზეც მსხვილი ასოებით აწერია: „ვებრძოლოთ სიბნელეს და რელიგიას“, „რელიგია მშრომელთა მტერია. სასტიკი და შეუბრალებელი იერიში მის წინააღმდეგ“, „შობის დღესასწაული ლოთობის ფუძეა“, „ერთი წუთიც არ დავკარგოთ უმიზეზოდ“, და კიდევ მრავალი სხვა.

და ასე საღამომდე მდინარებდა დემონსტრანტთა რიგები, იყო დაუშრეტელი ენერგია და აღტაცება.

ეკლესიები დადუმდა! სასტიკად დამარცხდენ რელიგიის მქადაგებელნი.

საღამოს მწყობრი რიგები კვლავ მუსიკის დაკვრით, „ვაშას“ ძახილით და სიმღერით გაემართა შრომის უბნებისაკენ.

ასე ჩატარდა შობის დღესასწაული ტფილისში.

შალი

თამაშოგანი

1. მსროლელები

მოთამაშეთა რიცხვი: 10—15.

მოთამაშეთა განაწილება მოედანზე: მოედნის ერთ მხარეზე თოვლისაგან აკეთებენ ბოძს, სიმაღლით ერთ მეტრამდე, რომელზეც დიდ ბურთს დასდებენ. ბოძიდან 8-9 მეტრის მანძილზე გაავლებენ ხაზს, რომელთანაც დადგებიან მოთამაშეები.

თამაშის აღწერა: რიგ-რიგობით თითოეული მოთამაშე ხაზიდან გატყორცნილი თოვლის გუნდით ცდილობს ჩამოაგდოს ბურთი. თითოს აქვს მხოლოდ სამჯერ გატყორცნის უფლება თუ რომელიმე მოთამაშემ ჩამოაგდო ბურთი, იგი ასწევს ხელს ზევით და დაიძახებს „შესდექ!“ მოხვედრისთანავე დანარჩენი მოთამაშეები გარბიან და გაიფანტებიან მთელ მოედანზე. „შესდექ“-ის დაძახებისთანავე ყველანი მყისვე შეჩერდებიან. მოთამაშეს, რომელმაც ბურთს გუნდა მოარტყა, უფლება აქვს სამჯერ ესროლოს თოვლის გუნდა რომელიმე მოთამაშეს, ხოლო ეს უკანასკნელი ადგილიდან დაუძვრელად ცდილობს გუნდის აცდენას (დაიკუზება ან გადაიხრება გვერდზე, ხოლო ადგილიდან ფეხის გადადგმის უფლება არა აქვს).

თუ მსროლელმა მოახვედრა ვისმეს გუნდა, ის, რომელსაც მოხვდება, რიგში სულ უკანასკნელად ესვრის ბურთს მიზანში, ხოლო მომხვედრებელს ეიჭება ისევ ყველაზე უწინ ტყორცნის უფლება. თუ მსროლელმა ააცდინა გუნდა, მაშინ იგი ყველაზე უკანასკნელი იქნება რიგში.

თამაშის წესები: 1. მსროლელმა ხაზს არ უნდა გადააცილოს ფეხი.

2. მოთამაშეთა გაქცევა და მოედანზე გაფანტვა მხოლოდ ბურთისთვის გუნდის მოხვედრების შემდეგ შეიძლება.

3. როდესაც გაისმის ძახილი „შესდექ“, მოთამაშენი მყისვე უნდა შესდგენ ადგილზე.

4. გუნდების მიზანში ტყორცნა რიგ-რიგად წარმოებს.

2. გრძელა დროშისათვის

მოთამაშეთა რიცხვი: 10—40.

თამაშისათვის საჭირო ხელსაწყოები: 1. თოვლის კედელი 1 ½ მეტრის სიმაღლე და სიგანით 4 მეტრ- 2. თოვლის გუნდები, 3. წითელი ალამი (ბაირაღი).

მოთამაშეთა განაწილება. მოთამაშენი ორ ჯგუფად იყოფიან. ერთი ჯგუფი მოთავსდება კედლის აქეთ, მეორე კი 20 ნაბიჯის მანძილზე კედლის იქით, სადაც მოხაზულია მათი ბანაკის საზღვარი.

თამაშის აღწერა: ის ჯგუფი, რომელიც დამალულია თოვლის კედელს აქეთ, ყარაულობს ალამს, მოწინააღმდეგე ჯგუფი კი ცდილობს წაართვას მათ ალამი მოწინააღმდეგე ჯგუფები ერთმანეთს თოვლის გუნდებს ესვრიან. მოთამაშე, რომელსაც მოხვდება გუნდა, მოკლულად ითვლება და თამაშიდან გამოდის.

თამაში დამთავრებულად ითვლება: 1. თუ რომელიმე ჯგუფის ყველა მოთამაშე ამოწყდება.

2. თუ მოთამაშე, რომელმაც ხელში ალამი აიღო, მოჰკლა მოწინააღმდეგემ.

ის ჯგუფი, რომელსაც ყველა მოთამაშე ამოუწყდება ან მოუკლავენ მოთამაშეს ალამით ხელში, წაგებულად ითვლება.

თამაშის წესები. 1. ალამის დამცველ ჯგუფს არა აქვს უფლება თოვლის კედლის წინ გადმოვიდეს.

2. ვიდრე თავდამსხმელთა ჯგუფის მოთამაშეები თავისი ბანაკიდან ფეხს არ გადმოაბიჯებენ, დამცველებს არა აქვთ უფლება ესროლონ გუნდები.

მ. გორგაძე

მთავლიტი № 2135. სახელგამის სტამბა, სომხის ბაზარი, № 22. შეკვ. № 748. ტირ. 1500